# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 თებერვალი 2007 №31 (2954)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვიწყებთ მეორე განწყობილებას

### ხელისუფლებამ იცის, რა გააკეთა. და რას გააკეთებს ზაფხულში?



წლეულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნებია. არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი და საქმეს ისეთი პირი უჩანს, წლევანდელი არჩევნები შარშანწინდელისგან განსხვავებული იქნება — პარლამენტარი ვალერი გიორგობიანი აცხადებს, რომ ხელისუფლება ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში არ ჩაერევა და ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ხელისუფლებაში ძველებური ნდობით აღარ სარგებლობს...



## ჭაბუკი სამკუთხედის ნანგრევებში

გახსოვთ გიორგი განუგრავა?

3



## სახეში ფურთხი კაპელოს: რონალდო ვარჯიშებზე მთვრალი მიდიოდა

8

## დემეტრაძემ განხეთქილების ვაშლი გააგორა და ააგორა

### ქართველი კლანური თამაშის თავდასხმაში



„დემეტრაძის საქმის" მასშტაბი და მნიშვნელობა უკვე კარგად იკვეთება — უკრაინულ ფეხბურთში ერთი მძლავრი დაჯგუფება მეორეს უპირისპირდება — რინატ ახმეტოვი ძმების, გრიგორი და იგორ სურკისების წინააღმდეგ.

ეს არის ბრძოლა დომინანტობისთვის უკრაინულ ფეხბურთში, რასაც ალბათ ფინანსური ინტერესები უდევს საფუძვლად.

## მულტიმილიონიანი ულტიმატუმი



„ან ხელფასი მომიმატეთ, ანაც წავალ" — ასეთია „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს ახალი ულტიმატუმი. ჩვენ კი დავძენთ, რომ „ხელფასის მომატება"-ში უბრალოდ ხელფასის მომატება კი არა, სხვა რამ უფრო იგულისხმება: ბრიტანული **news of the world**-ის ცნობით, ეს პირობა, ფაქტობრივად, ჯანყს ნიშნავს.

8,3 მილიონი გირვანქა წელიწადში — აი, ამ თანხას ითხოვს რონალდუ და საინტერესოა, რომ მსგავსი ხელფასი სადღეისოდ არც ერთ ფეხბურთელს არ გააჩნია.

„ხელფასი არაფერ შუაშია, კრიშტიანუ მიდის" — წერენ ბრიტანელები და... დიახ, პორტუგალიელს, რომ იტყვიან, ცალი ფეხი ესპანურ „ბარსელონაში" აქვს...

## კრიშტიანუ რონალდუ: ორი ხელი მანჩესტერის ყელზე, ცალი ფეხი ბარსელონაში



# დემოკრატია თუ კლანების ომი?

## ბრძოლა ახმეტოვსა და სურკისებს შორის

დღესდღეობით „დემეტრაძის საქმე“ უკრაინული სპორტული პრესის უპირველესი განსახილველი თემაა. ათასი აზრი, ვარაუდი და კომენტარი ისმის ჩვენიანი ფეხბურთელის კიევის სასამართლოში შეტანილი სარჩელის შემდეგ.

ეს, უკვე გახმაურებული ამბავი კი უკრაინის ჩემპიონატში ლეგიონერების რაოდენობის შემცირებას უკავშირდება. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მომავალი სეზონიდან ლეგიონერთა შემცირება სურს, აქაოდა მათი სიმრავლის გამო უკრაინელი ფეხბურთელები ჩრდილში არიან და ამით ეროვნული გუნდი ზარალობსო.

პირველად ლეგიონერთა შემცირების მოთხოვნით სწორედ უკრაინის ნაკრების თავკაცი ოლეგ ბლოხინი გამოვიდა, ვისაც ფედერაციას უმალ კვერი დაუკრა. დემეტრაძემ კი, ფეხბურთის ფედერაცია ლეგიონერებს თუ შეამცირებს, ქვეყნის კონსტიტუციას დაარღვევსო და სწორედ ამიტომ სასამართლოში აფრინა სარჩელი.

ჩვენც ვივარაუდეთ და აგერ ახლა, უკრაინელმა ჟურნალისტებმა თქვეს, რომ „დემეტრაძის საქმის“ უკან დონეცკის „მეტალურგი“ დგას, უფრო კონკრეტულად კი კლუბის პირველი ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი სელიუკი. სხვათა შორის, სელიუკი სატრანსფერო საქმეებში გაქექილი კაცია და დემეტრაძის გარდა, თავის დროზე რამდენიმე სხვა ქართველი ფეხბურთელი მოუწყვია უკრაინულ გუნდებში.

როგორც ვთქვით, სელიუკი ამჟამად დონეცკის „მეტალურგში“ მუშაობს, „მეტალურგი“ კი ვინ არ იცის, თანაქალაქელი „შახტარის“ დაქმობილებული კლუბია. „შახტარის“ მფლობელი ძალიან დიდი ფულის პატრონი რინატ ახმეტოვია, რომელსაც არცთუ თბილი ურთიერთობა აქვს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გრიგორი სურკისთან და მის ძმასთან, კიევის „დინამოს“ პრეზიდენტ იგორ სურკისთან. ამ ნათესაურ-იერარქიული კავშირებით მილიონერ ახმეტოვსა და მის ამქარს ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ცხვირის ჩაყოფის საშუალება არ აქვს. თუმცა, ამავდროულად, როგორც ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა გვითხრეს, პროფესიულ ფეხბურთის ლიგას თითქმის მთლიანად სწორედ ახმეტოვი და მისი დონეცკური მხარე აკონტროლებს...

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ახმეტოვსა და მის კლანს მხოლოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ბერკეტები არ აკმაყოფილებთ, ფედერაციის სათავეში ყოფნა სურთ და „დემეტრაძის საქმეც“ წინასაარჩევნო პიარს უფრო ჰგავს, ვიდრე უკრაინულ ფეხბურთის განვითარებაზე მზრუნველი ხალხის ალალად გადადგმულ ნაბიჯს.

„დემეტრაძის საქმემდე“ დონეცკელებისგან კიდევ ერთი, ცოტა არ იყოს სკანდალური ამბავიც აგორდა — უკრაინის ჩემპიონატში დოპინგი უკვე ჩვეულებრივ იხმარება, მაგრამ ყველაფერი უყურადღებოდ დარჩაო. ამ განცხადებებს ცხადია ფედერაცია უმალ გამოეხმაურა, მაგრამ ჯერჯერობით გაგრძელება არ მოჰყოლია.

„დემეტრაძის საქმეზე“ ახლა გაცილებით მეტს და უფრო საფუძვლიანად ლაპარაკობენ, ვიდრე ხსენებულ დოპინგ-ამბავზე. დონეცკური მხარე იმედოვნებს, რომ დემეტრაძე და მისი ადვოკატები ამ საქმეს მოიგებენ, ხოლო უკრაინელ ფეხბურთელთა პროფკავშირების თავმჯდომარე ოლეგ პეჩერნი ამ რაიონული სასამართლოს კეთილსინდისიერებას ეჭვის თვალით უყურებს და ეჭვობს, რომ დემეტრაძეს მართლაც შეუძლია პროცესის მოგება. უკრაინის ნაკრების თავკაცს ოლეგ ბლოხინს კი ისევ ძველი პოზიცია აქვს და ამბობს:

— ლეგიონერთა შემცირებასთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია მაქვს — მათი რაოდენობა ლიმიტირებული უნდა იყოს! უკრაინის ჩემპიონატში ლეგიონერებზე მეტი უკრაინელი უნდა თამაშობდეს.

— თუ სასამართლო გიორგი დემეტრაძის სარჩელს დააკმაყოფილებს, ეს, ცხადია, უკრაინული ფეხბურთის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს. თუმცა ეს ჩემი საქმე არ არის, პრობლემას ფეხბურთის ფედერაციამ, პროფლიგამ და კლუბებმა უნდა მიხედონ და ერთმანეთში მოაგვარონ ლეგიონერთა საკითხი. თანაც, ჯერ დემეტრაძის სარჩელიც არ წამიკითხავს და უფრო კონკრეტულად სხვას ვერაფერს გეტყვით.

ბლოხინისგან სხვა სიტყვები მოსალოდნელი არც იყო, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ხომ სწორედ ნაკრების მწვრთნელის ადრინდელი განცხადების შემდეგ მიიღო ლეგიონერთა შემცირებაზე გადაწყვეტილება. ბლოხინს, რა თქმა უნდა, ჩემპიონატში თავისი ინტერესი აქვს — სანაკრებოდ გამოსადეგი ფეხბურთელების მეტი არჩევანი ჰქონდეს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, ბევრი სპეციალისტი პირიქით ფიქრობს — ლეგიონერებზე ლიმიტი უკრაინულ ფეხბურთის დონეზე უარყოფითად აისახებაო.

**კობა ინასარიძე**

# მერანი — სიონი: ექსპერიმენტი გურჯაანში

**გურჯაანში** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „მერანმა“ საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ ამხანაგურად ისტუმრა. გუნდებმა ორი ექსპერიმენტული მატჩი გამართეს, მწვრთნელები ფეხბურთელებს ყოველ 15 წუთში ჯგუფ-ჯგუფად ცვლიდნენ.

პირველი თამაში „მერანმა“ მოიგო 1:0, მეორეში კი „სიონმა“ იმარჯვა — 4:0.

„მერანი“ გურჯაანში გააგრძელებს შეკრებას, „სიონი“ კი ორიოდე დღე დაისვენებს და დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალური შეხვედრისთვის მოემზადება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პროფლიგამ კოლხეთს საფეხურები ურჩია

დიდი შანსია, მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა ათამდე შემცირდეს. ეროვნული ჩემპიონატის და კლუბების გაჭირვებულ ყოფას რომ ვუყურებთ, იქნებ ასეც ჯობდეს. ათგუნდიანობის პერსპექტივას ისიც ზრდის, რომ მომავალი სეზონიდან უეფას მოთხოვნით არა მარტო ევროთასებზე გამსვლელ კლუბებს, არამედ ყველა უმაღლესლიგელს მოეთხოვება ლიცენზია. ამ საკითხზე პროფლიგის გენერალურ მდივან რევაზ ლორთქიფანიძეს დავუკავშირდით

— პროფლიგას ადრეც დაუფიქსირებია, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების შემცირებას ემხრობა...

— ეს ჩვენი თვითმიზანი არ არის. გვინდა, არგვინდა, თუ კლუბი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, მას უმაღლეს ლიგაში ვერ დავუშვებთ. რაც უფრო მეტი მოწესრიგებული კლუბი გვეყოლება, ჩვენთვის უკეთესია. სულაც 16-გუნდიანი ლიგა გვირჩევნია, მაგრამ რეალობას გვერდს ვერ ავუვლით...

— უმაღლეს ლიგაში ბევრი გაჭირვებული გუნდია. მათ ლიცენზიის მოსაპოვებლად მუშაობა თუ დაიწყეს?

— კი, სურვილი უკვე გამოთქვეს და ზოგმა კლუბმა მუშაობაც დაიწყო. თავად კლუბები უნდა იყვნენ ლიცენზირებით დაინტერესებულნი და, ბუნებრივია, ჩვენც და გულშემატკივარსაც ის გაუხარდება, რაც უფრო მეტი გამართული კლუბი ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატში...

აქვე ფოთის „კოლხეთზეც“: ეს გუნდი რეგიონულ ლიგაში თამაშობს და მძლავრ კომპანიასთან, „პალმალთან“ გეგმავს ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც კოლხებს წლიური მილიონლარიანი დაფინანსება ექნებათ. „კოლხეთის“ პრეზიდენტმა თემურ ბარქაიამ გვითხრა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს დავულაპარაკებით, ეგებ ასეთი მყარი ფინანსური გარანტიების მქონე კლუბს მომდევნო სეზონიდან უმაღლეს ლიგაში თამაშის ნება დაგვრთონო.

რევაზ ლორთქიფანიძემ კი განგვიმარტა: „კოლხეთის“ ჩანაფიქრი ვიცი, თუმცა მომავალი სეზონიდან მათი უმაღლეს ლიგაში თამაში გამორიცხულია. ასეთ რამ ნებადართულიც რომ იყოს, თავად „კოლხეთისთვის“ იქნება ცუდი. ჯობს, გუნდმა ეტაპობრივად გაიაროს საფეხურები“.

**ილია ნანობაშვილი**

# გიორგი ვადაჭკორიამ ჩააბარა

**სეზონის** მეორე წრისთვის მზადებას მსაჯებიც შეუდგნენ. ისინი სპორტის აკადემიის მოედანზე ვარჯიშობენ და მოახლოებული თამაშებისთვის. მსაჯთა ნორმატივის ჩაბარების სისტემა შეცვლილია — კუპერის ტესტი (2700 მეტრი 12 წუთში) აღარ არსებობს, მის ნაცვლად 8000-მეტრიანი კროსი (თავისი აჩქარებებით) იქნება, ამასთან დაემატება ექვსი 40-მეტრიანი სპრინტი. სწორედ ამ მეთოდით ვარჯიშობენ ახლა ქართველი მსაჯები.

და ახალი ამბავიც — გიორგი ვადაჭკორია ფიფას არბიტრი გახდა. მოქმედი ქართველი მსაჯებიდან ასეთი სტატუსი კიდევ ლევან ფანიაშვილს და ლაშა სილაგავას აქვთ.

— რომში 4-8 თებერვალს ვიყავი. ტესტირებას პირველი ეტაპი ფიზიკურ მომზადებას დაეთმო. ახალი პროგრამით ვივარჯიშეთ. ნორმატივები წარმატებით ჩავაბარე — გვითხრა ვადაჭკორიამ.

— ისეთი თუ იყო ვინმე, გამცდა რომ ვერ ჩააბარა?

— 25 ქვეყნის 37 მსაჯი ვიყავით, მათგან სამმა ვერ გაიარა ტესტირება.

— მეორე ნაწილი თეორია იყო?

— თეორია და უცხო ენა. თეორიაში საკამათო ეპიზოდების განხილვაც შედიოდა, ენაში კი ძირითადად ინგლისურის ცოდნას ითხოვდნენ. ტესტირებისას ვატიკანშიც კი წაგვიყვანეს და ღირსშესანიშნაობების ინგლისურად აღწერა მოითხოვეს.

— სერთიფიკატი უკვე გადმოგცეს?

— სერთიფიკატი შვეიცარიელმა ივან კორნიუმ გადმოგვცა, რომელიც ფიფაში მსაჯთა კომიტეტს კურირებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გიორგი ვადაჭკორია

## ინგლისი

LDV VANS TROPHY
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
დონკასტერი 3:2 ძრიუ (3:3)

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური
დუისბურგი 2:1 კარლსრუე

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXIV ტური
ბასტია 1:0 მეცი

## მექსიკა

კლაუსურა. IV ტური
სანტოსი 0:0 კერეტარო



# ვალერი გიორგობიანი: ფედერაციამ ცხინვალს ტყუილი შესთავაზა

## ნაკრების პროგრესი ახალკაცის კი არა, ხელისუფლების დამსახურებაა

**იქამდე დიდი დროა, მაგრამ საინტერესო თემა უნდა იყოს — ზაფხულში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. სწორედ ამ დროს ეწურება ნოდარ ახალკაცს ქართული ფეხბურთის თავკაცობის ვადა. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც — ახალკაცი სფფ-ის პრეზიდენტყოფილის, იმხანად დიპლომირებული მერაბ ჟორდანიას შემცვლელად აირჩიეს ვადამდელი არჩევნებით. უფრო კონკრეტულად კი, ახალკაცს სახელისუფლებო წრეებმა დაუჭირეს მხარი და არჩევნები ფორმალობაღა იყო. რა პოზიციას დაიკავებს ამჯერად მმართველი პარტია და ვინ იქნება მისი რჩეული, ამის გასარკვევად „ნაციონალების" ერთ-ერთ სახეს, პარლამენტარს და ხელისუფლებაში სპორტის ამბავში ერთ-ერთ საკვანძო ფიგურას ვალერი გიორგობიანს დავუკავშირდით...**



— **ფაქტია, რომ ნოდარ ახალკაცი ხელისუფლების მხარდაჭერით გახდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. მას მომავალ არჩევნებშიც დაუჭერთ მხარს?**

— ასე გიპასუხებთ — პირადად არასდროს ვყოფილვარ ნოდარ ახალკაცის მომხრე...

— **კი მაგრამ, სახელისუფლო მაღალჩინოსნები ხომ უჭერდნენ მას მხარს?**

— ვინ იყო მისი კანდიდატურის მომხრე, ეს პირადად ნოდარ ახალკაცს უნდა ჰკითხოთ...

— **„ნაციონალებს" მომავალი არჩევნებისთვის თუ გყავთ გამოკვეთილი კანდიდატურა?**

— თუ დამიჯერებთ, არა. თვითონ აირჩიონ, ვინც უნდათ, ჩვენ არ ჩავერევით, რადგან, თუ არ გაამართლა, მერე უკვე თვითონ მას მოვთხოვთ პასუხს.

— **პასუხს რატომ მოსთხოვთ, იმიტომ ხომ არა, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის უმეტეს ნაწილს სახელმწიფო იხდის?**

— გარკვეულწილად ასეა. ერთ რამეს ახლა პირველად ვამბობ: როდესაც ნაკრებისთვის მწვრთნელის შერჩევის პროცესი მიმდინარეობდა, ჩვენ და სპორტში ჩახედულ ხალხს გვყავდა უკეთესი კანდიდატურებიც, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციამ არჩევანი კლაუს ტოპმიოლერზე შეაჩერა. ნოდარ ახალკაცმა პრეზიდენტს გააცნო სამუშაო გეგმა და ბატონი მიხეილ სააკაშვილი დაეთანხმა. სახელმწიფო ძალიან დაეხმარა ფეხბურთის ფედერაციას და შედეგიც არის.

— **შედეგში რას გულისხმობთ?**

— ბრმა უნდა იყო კაცი, რომ ჩვენი ნაკრების პროგრესი ვერ დაინახო. ტოპმიოლერი ჯერჯერობით ამართლებს მასზე დახარჯულ ფულს.

— **თქვით, რომ ტოპმიოლერზე უკეთესი კანდიდატები გყავდათ. მაინც ვინ?**

— ახლა ამაზე საუბარი არ ღირს, მაგრამ იყო ორი-სამი კანდიდატურა, რომლებიც ტოპმიოლერზე უკეთესად ერკვეოდნენ ქართულ ფეხბურთში და უკეთესი კვალიფიკაცია ჰქონდათ. რაც მთავარია, ისინი უცხოელები იყვნენ, მათზე მეტს არაფერს გეტყვით.

— **თქვით, რომ ფეხბრთის ფედერაციას შედეგი აქვსო, თქვით. გამოდის, ფედერაციის საქმიანობით კმაყოფილი ხართ...**

— არა, არანაირად. მე ვთქვი, რომ ნაკრების პროგრესი აშკარაა. ნაკრების მთავარი მწვრთნელის ხელფასის დიდ ნაწილს კი სახელმწიფო იხდის. რაც შეეხება ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის მუშაობას, მე ამას ნული ქულით ვაფასებ.

— **რა არ მოგწონთ?**

— ელემენტარულად, შინაური საქმეები არ კეთდება. აბა, ნახეთ, ეროვნულ ჩემპიონატში რა ხდება?! თქვენ ეს არ გესწავლებათ... რამდენიმე წუთის წინ ველაპარაკე საფეხბურთო კლუბ „ცხინვალის" წარმომადგენლებს. ისინი პრაქტიკულად მოატყუეს. „ცხინვალი" ლიგაში დაუშვეს, ფედერაცია დაჰპირდა, რომ უპატრონებდა, მაგრამ შუა გზაზე მიატოვა. ახლა „ცხინვალი" პირველში კი არა, რეგიონალლიგაში გადააგდეს — ფული არ გაქვთო. ასეთ დღეში არიან სოხუმელები და ახლა ბათუმელებმაც მოგვმართეს, იქნებ ცოტა დაგვეხმაროთო.

— **ფედერაცია ვალდებული არ არის, კლუბები დააფინანსოს...**

— მაშინ არ უნდა დაეშვა ასეთი პრეცედენტი! თუ დაუშვი და აიღე პასუხისმგებლობა, კეთილი ინებე და საქმე ბოლომდე გააკეთე. იცით, რა მითხრეს ცხინვალელებმა? ფეხბურთის ფედერაცია რომ გვეხმარებოდა, მერე გვითხრეს, თქვით, ვითომ თქვენი ნებით ამბობთ ამ დახმარებაზე უარსო...

— **თქვენი რეაქცია რა იქნება?**

— ჩვენ, „ნაციონალებს", კლუბები აღგვიქვამენ როგორც ბოლო იმედს. ჩვენ ისღა შეგვიძლია, მათ მოვუსმინოთ და ფედერაციას რჩევები მივცეთ, თორემ მათ საქმიანობაში ვერ ჩავერევით. ერთიცაა, ფედერაცია რომ მოაწყობს პომპეზურ პრეზენტაციებს და ამბობს, ბავშვთა ფეხბურთი ვითარდება და რეგიონებში ფეხბურთს ვაცოცხლებთო, არ არის მართალი. არც ერთ რეგიონში და ბავშვთა ფეხბურთში მნიშვნელოვანი წინსვლა არ არის. პირიქით, ცხინვალელებთან, სოხუმელებთან, ბათუმელებთან ერთად აგერ, ლანჩხუთელებმაც მოგვმართეს, რამე გვიშველეთო. ეს არის რეალობა.

— **თუ ამდენი პრობლემაა, რატომ აღარ ერევით ფედერაციის საქმიანობაში? მით უმეტეს, ნოდარ ახალკაცი ხელისუფლების მხარდაჭერით გახდა პრეზიდენტი...**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პირადად მე არ ვყოფილვარ მისი მხარდამჭერი და ახლა არა მგონია, იმდენი ნდობა ჰქონდეს, როგორც ადრე. ჩვენ არ ჩავერევით არჩევნებში. აირჩიონ, ვინც უნდათ, მაგრამ თუ საქმე აღარ გაკეთდება, მერე განზე აღარ დავრჩებით.

**ბაჩო სვანიძე**

---

# ჭაბუკი სამკუთხედის ნანგრევებში



**ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ გიორგი განუგრავა? 2005 წელს, როცა საქართველოს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს გაიოზ დარსაძე განაგებდა, ეს 17 წლის ნახევარმცველი თამაშობდა 19-წლამდელთა, 21-წლამდელთა და ეროვნულ ნაკრებებში. განუგრავა არ იყო მხოლოდ დარსაძის ფავორიტი, მას უკვე ყველა იცნობდა როგორც კარგი მონაცემების ჭაბუკს, რომელსაც, ფაქტობრივად... ფიტავდნენ**

განუგრავა ახლაც „ზესტაფონის" ფეხბურთელია, მაგრამ გიორგი აღარ ჩანს არც ნაკრებებში და არც „ზესტაფონში", ის ინტერვიუებსაც აღარ იძლევა და საქვეყნოდ არ ამბობს, რომ „ზესტაფონიდან" წასვლა უნდა, ის „ზესტაფონთან" არც სამეორეწრეო შეკრებაზე იყო თურქეთში. არადა, განუგრავა ორი წლის წინ მართლაც თამაშობდა ფეხბურთს, „ზესტაფონში" ყველაზე გამორჩეული ახალგაზრდა იყო და ხშირად გუნდის ლიდერადაც კი წარმოგვიდგებოდა შთამბეჭდავი თამაშით.

მაშ, რა დაემართა თუ დამართეს განუგრავას?

დარსაძემდე საქართველოს ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი ხშირად იმეორებდა ერთი და იგივეს — ახალგაზრდა ფეხბურთელებს უნდა გავუფრთხილდეთ, დიდად არ უნდა დავტვირთოთ, 17-19 წლის მოთამაშეს ეროვნული ნაკრების მძიმე ტვირთი არ უნდა ავკიდოთ. ჟირესი ამას მეტწილად ჯაბა კანკავაზე ამბობდა და სხვა ახალგაზრდებსაც გულისხმობდა.

ჟირესი გაუშვეს და ასპარეზი დარსაძეს დაუთმეს. ამით ქართულმა ფეხბურთმა ვერაფერი მოიგო და, როგორც აღმოჩნდა, ვერც განუგრავამ.

„ზესტაფონამდე" განუგრავა „ამერში" იყო, სადაც ერთი სეზონი დაჰყო ჯერ დარსაძის, მერე გიორგი ჩიხრაძის მწვრთნელობისას. განუგრავამ „ამერთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება არ მოისურვა და კლუბიდან წავიდა. დაახლოებით ნახევარი სეზონი „დინამო 2"-ში ვარჯიშობდა. „დინამოს" მაშინ გია გეგუჩაძე წვრთნიდა და როგორც თვითონ გვითხრა, განუგრავას გუნდში აყვანა უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელის „მფარველმა ანგელოზებმა" მას პირობა წაუყენეს — განუგრავასთან ერთად „დინამოში" „ამერიდან" წამოსული კიდევ ერთი ფეხბურთელი, ბექა გოცირიძეც უნდა აიყვანო და ორივე პირველი გუნდის ძირითადში უნდა ათამაშოო.

განუგრავა „დინამოში" ვერა, მაგრამ „ზესტაფონში" კი გადავიდა 2005 წლის ზამთარში — ზესტაფონელებმა ის „ამერისგან" გამოისყიდეს.

„ზესტაფონი" — დარსაძე — ფედერაცია — თუ რას წარმოადგენდა ეს სამკუთხედი 2005 წელს, ამაზე ბევრი დაიწერა და ითქვა და ყველაფერი ესეც მოქმედებდა 17 წლის განუგრავაზე, რამეთუ გაუგებარი იყო, რით იმსახურებდა იგი ეროვნულ ნაკრებში თამაშს და რატომ ათამაშებდნენ მას ყველგან, სადაც კი მისი გამოყენება ფიზიკურად და ფორმალურად შესაძლებელი იყო.

„სამკუთხედს" კრიტიკის ზალპი არ დაჰკლებია არც მასმედიისგან, არც გულშემატკივრისგან და არსებობის ბოლო სტადიაში სახელისუფლებო წრეებისგანაც.

„სამკუთხეთი" დაინგრა და, ფაქტობრივად, მის ნანგრევებში მოჰყვა განუგრავაც. ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად დაწრეტილი ჭაბუკი უწინდელივით კარგად ველარ თამაშობდა, მას აღარც 19 თუ 21-წლამდელთა ნაკრებში იძახებდნენ საქართველოს ნაკრებთა გერმანელი მწვრთნელები, განუგრავა ერთი პერიოდი „ზესტაფონის" მეორე გუნდშიც გადაიყვანეს.

გიორგი რამდენიმე დღეში 19 წლის გახდება. ეროვნულ ნაკრებში შვიდჯერ ნათამაშებ ფეხბურთელს კარგი დრო არ უდგას. ის არ ყოფილა ვუნდერკინდი და მას ამას აძალებდნენ, რითაც ის დააბრკოლეს, უდიერად მოექცნენ საინტერესო ახალგაზრდას.

ჩვენთან ძალიან პრობლემატურია ახალგაზრდებთან მუშაობა, რადგან გამოჩნდებიან ნიჭიერი ყმაწვილები და მათზე ამბობენ, ხასიათი არ უვარგა, ფეხბურთით არ ცხოვრობს, რეჟიმისტი არ არის და თითქოს მწვრთნელი ამით ხელებს იბანს. ცოტას თუ უნდა, ასეთ თინეიჯერს ქქოში წაავლოს ხელი, ნიადაგ უფუცხუნოს, რაღაც-რაღაცებზე თვალები დახუჭოს და მისგან პროფესიონალი ფეხბურთელი შექმნას. არიან გამონაკლისებიც. მაგალითად, გიორგი დევდარიანმა შეძლო და გოჩა ხოჯავას „თბილისში" ფეხბურთი ათამაშა, ყველას დაანახა, რომ ხოჯავა ტალანტია. მაგრამ როგორც კი დევდარიანის და ხოჯავას გზები გაიყარა, ხოჯავა ჩაიკარგა...

განუგრავა კი ქართული ფეხბურთისთვის სულ სხვა ისტორიაა — მას ხასიათს და დისციპლინას ვერავინ დაუწუნებს, უბრალოდ, ის ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული ფეხბურთელი, არც ცხოვრების ორომტრიალით გაკაჟებული პიროვნება თუნდაც მისი ასაკის გამო, მას არასწორი მიმართულება მისცეს და ფეხიც დაუცდა.

ჩვენთან კვლავაც ბევრ რამეს აკეთებენ უკუღმა. აი, ცინცხალი ამბებიც — ქართულმა გუნდმა შეკრებაზე უკრაინის უმაღლესი ლიგის მეორე გუნდს მოუგო და ამ ქართული კლუბის ვებგვერდზე დაწერეს, პირველ გუნდს მოუგოო. ქართული გუნდის პრეზიდენტმა შეკრებაზე ორ საკონტროლო მატჩში დაუწესა პრემია ფეხბურთელებს — 200 და 500 დოლარი...

მაგრამ, რაც განუგრავას დამართეს, ეს ძალიან განსაკუთრებული და საწყენი ამბავია.

**დავით თავართქილაძე**

# ზურაბ იონანიძე: სხვათა ტრანსფერები არ მაინტერესებს



თემურ მახარაძის „ზესტაფონმა" ანთალიური შეკრება სამი დღის წინ დაასრულა და ხვალიდან საქართველოს თას-ჩემპიონატისთვის მზადებას ზესტაფონში გააგრძელებს. ფეროელებმა ანთალიაში ხუთი ამხანაგური მატჩი გამართეს და ყველაზე ლონივრად ლვოვის „კარპატისთან" (3:0) ითამაშეს, დანარჩენ შეხვედრებში კი ასეთი შედეგები აჩვენეს: ყაზახურ „ჟეტისუსთან" 0:2 კორეის „ჩონბუკ ჰიუნდაისთან" 1:1 რუმინულ „ჩიაჟნასთან" 2:2 და მოსკოვის „ლოკომოტივთან" 0:2. თურქული შეკრება და „ზესტაფონის" განწყობა სეზონის განახლების წინ — ამაზე ფეროელთა ბომბარდირ ზურაბ იონანიძეს ვესაუბრეთ...

— თურქეთში ყველანაირად კარგი შეკრება გავიარეთ, პირობები მშვენიერი იყო და როცა სეზონი დაიწყება, ყველა ნახავს, რომ გუნდი კარგ ფორმაში იქნება.

**— სპარინგ-მეტოქეებიდან ყველაზე ძლიერი, ცხადია, მოსკოვის „ლოკომოტივი" იყო...**

— ასეა და თანაც „ლოკომოტივთან" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, რომლებიც ნაკრებში გამოიძახეს. სხვა გუნდებიც ძლიერები იყვნენ, იმავე „ჟეტისუს" რამდენიმე კარგი ლეგიონერი ჰყავდა. მოკლედ, მაგრად მოვემზადეთ.

**— რომელიმე ახალი ფეხბურთელი ხომ არ ჩამოგყოლიათ თურქული შეკრებიდან?**

— ბრაზილიელები ჟონატასი და ლეანდრო, რომლებიც ჩვენთან თურქეთში წასვლამდე მოვიდნენ, კარგი ფეხბურთელები არიან, თურქეთში ლეანდრომ გოლიც გაიტანა, თუმცა ჩემი აზრი არაა მთავარი — მათი გუნდში დარჩენა მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— 18 თებერვალს „ბორჯომში" თამაშობთ თასზე. მანამდე სულ ზესტაფონში მოემზადებით?**

— კი, აქ ხელოვნურსაფარიან მინდორზე ვივარჯიშებთ, რადგან, როგორც იცით, ბორჯომშიც ასეთი მოედანია.

**— „ზესტაფონი" ჩემპიონატის და თასის მოგებას აპირებს. ეს რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— უბრძოლველად არავინ არაფერს დაგვითმობს, ბრძოლა კი შეგვიძლია და მგონი, არც ერთ კონკურენტს არ ჩამოუვარდებით.

**— მთავარ კონკურენტად ვის თვლი?**

— ვინც ლიდერთა ჯგუფშია, ყველას თანაბარი შანსი აქვს „დინამოს" ჩათვლით.

**— „ვიტ ჯორჯიამ" ორი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა. მათ მაინც ფავორიტებად თვლი?**

— „ვიტ ჯორჯია" მაინც სოლიდურ ძალად რჩება, ვიტელებს ყოველთვის ჰყავდათ ისეთი გუნდი, საქართველოში უმაღლესი მიზნებისთვის რომ იბრძოდა. ისე, სხვა გუნდებში მომხდარ ტრანსფერებს ნაკლებად ვაკვირდები — ჩემთვის მთავარია, „ზესტაფონში" რა ხდება...

**ილია ნანობაშვილი**

# დღეს 21-წლამდელებს კენჭებს ესვრიან

**დღეს** შვედეთის მთავარქალაქ სტოკჰოლმში 21-წლამდელთა 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა გაიმართება. უეფამ შესარჩევის სისტემა შეცვალა — 51 ქვეყანა 10 ჯგუფად განაწილდება, ჯგუფში გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორადგილოსანი პლეი ოფში გავლენ — 14 ნაკრებიდან შვიდი რჩეული გამოვლინდება, მათ კი ფინალური ეტაპის მასპინძელი შვედეთი დაემატება.

საქართველო მეოთხე კალათაშია განთავსებული და, შესაბამისად, ძნელ მეტოქეებს ვერ ავცდებით. ჯგუფში მატჩები ორ წრედ გაიმართება.

მოკლედ, დაველოდოთ კენჭისყრას და სრულ კალენდარსაც მერე შემოგთავაზებთ.

**ილია ნანობაშვილი**



კახა ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი

# ცნობები უკრაინიდან

**უკრაინის** ჩემპიონატი ჩვენთვის საინტერესო იმითაა, რომ ათამდე უკრაინულ გუნდში ორი ათეული ქართველი თამაშობს, რომელთა უკრაინული ოდისეა სხვადასხვაგვარია. თუ ერთნი თავიანთ გუნდებში ლიდერებად გვევლინებიან, მეორენი სათადარიგოთა სკამს ვერ შორდებიან ან ტრანსფერზე არიან.

ლიდერ კიევის „დინამოში" ჯერჯერობით სამი ქართველია — ოთარ მარცვალაძე, კახა ალადაშვილი და დავით იმედაშვილი. მარცვალაძე ახლა ტრამვირებულია, კახა ალადაშვილი კი, რომელიც „დინამომ" რამდენჯერმე გაანათხოვრა, მოულოდნელად ბოლო შეკრებაზე იახლა და გერცლის ნაკრებთან 20 წუთი, ხოლო ხაიფის „ჰაპოელთან" მეორე ტაიმში ათამაშა. უკრაინული პრესის ცნობით, ქართველი კარგად გაისარჯა. სამაგიეროდ ძირითადს ძალიან დაშორდა დავით იმედაშვილი. ანატოლი დემიანენკომ ქართველები ერთმანეთს ჩაანაცვლა და ყოფილი ვეტერინარი ახლა „დინამოს" მეორე გუნდთან ვარჯიშობს.

მესამეადგილოსან ხარკოვის „მეტალისტის" საკუთრებაა ლაშა ჯაკობია. ხარკოველთა მწვრთნელის და იქაური გულშემატკივრის საყვარელი ფეხბურთელის ურთიერთობაში შავმა კატამ გაირბინა და ჯაკობიაც თანდათან შორდება „მეტალისტს". ჯაკობიამ სეზონის პირველი ნახევარი კიევის „არსენალში" გაატარა განათხოვრების წესით, მაგრამ საწყის ტურებშივე ისეთი ტრავმა მიიღო, რომ ვარჯიში ჯერაც არ დაუწყია.

მეხუთე ადგილზე მყოფ დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" ორი ქართველია — ჯაბა კანკავა და რევაზ ბარაბაძე. კანკავა „დნიპრომ" პირველი წრის შემდეგ იყიდა კიევის „არსენალიდან", ხოლო ბარაბაძე სეზონის დასაწყისში. საყრდენ ნახევარმცველ კანკავას ჯერ „დნიპროში" ოფიციალური შეხვედრა არ უთამაშია, რამდენიმე ამხანაგურში გაისარჯა, მაგრამ ახლა მცირე ტრავმა აქვს და უქმობს. ოლეგ პროტასოვმა ბარაბაძე ჯერ რეზერვში გადაისროლა, მაგრამ ბოლოს აზრი შეიცვალა, ძირითად შემადგენლობასთან შეკრებაზეც იახლა და პოლონურ „კორონასთან" 25 წუთითაც დატვირთა.

დონეცკის „მეტალურგში" ერთი ქართველია — გიორგი დემეტრაძე. ის ახლა გუნდთან ერთად ჰოლანდიაშია შეკრებაზე.

ოდესის „ჩერნომორეცის" სამი ქართველიდან „მეზღვაურთა" მთავარი მწვრთნელი სემიონ ალტმანი მხოლოდ ილია კანდელაკს ენდობა. გიორგი შაშიაშვილი და კახა მყავანაძე მწვრთნელმა შეკრებაზე არ იახლა და ტრანსფერზე დააყენა.

მსგავსი პრობლემები არ აქვთ კრივოი როგის „კრივბასის" ვასილი გოგიაძეს და ვლადიმერ ბურდულს. ორივე ლიდერია და უპირობოდ იშვიათად თამაშობს გუნდი, თუმც ახლა გოგიაძეს ტრავმა აქვს და საწვრთნელ შეკრებაზე წუთიც არ უთამაშია.

ზაპოროჟიეს „მეტალურგში" დავით კვირკველიას და ირაკლი მოდებაძეს, შესაძლოა, კიდევ ერთი ქართველიც დაემატოს. ალჩევსკის „სტალმა" გიორგი ციმაკურიძე ტრანსფერზე დააყენა და ახლა მეტალურგებშია. „ზაპოროჟიემ" ციმაკურიძე მეორე შეკრებაზეც იახლა, რაც იმის საწინდარია, რომ კონტრაქტი გაუფორმოს. კვირკველია და მოდებაძე გუნდის ლიდერები და ბომბარდირები არიან (3-3 გოლით). თუმც უკრაინის ჩემპიონატის მეორე ეტაპის საწყისი ტურების გამოტოვება მოუწევს მოდებაძეს, რომელიც ტრავმას მკურნალობს.

შესაძლოა, ქართველები კიდევ ერთ კლუბში — ლუგანსკის „ზარიაში" ვიხილოთ. ლუგანსკელებმა უკვე დაიწუნეს მიხეილ ბობოხიძე, მაგრამ ახლა ლევან მელქაძეს და გიგლა ახალაიას აკვირდებიან.

უკრაინის ჩემპიონატი მარტის პირველ უქმეებზე განახლდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ლივორნო 2:1 | 0 | სათადარიგო | 6 | 1 | 7 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰერტა 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 3 | 1 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | მიუნხენი 3:0 | 90 | საგოლე პასი | 18 | 2 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | მიუნხენი 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 1 | 6 |
| დავით სირაძე | აუე | ს | ფიურტი 1:2 | 0 | | 18 | 2 | 5 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | ს | ფრაიბურგი 0:3 | 0 | | 13 | 0 | 7 |
| გიორგი ლომაია | კარლ ცაისი | შ | ესენი 2:0 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | შ | ესენი 2:0 | 73 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | 15 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ევერტონი 0:1 | 83 | შეცვალეს | 15 | 0 | 10 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ტილბურგი 2:0 | 0 | ავადაა | 15 | 11 | 3 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | შ | არისი 0:0 | 81 | შეცვალეს | 10 | 0 | 8 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ლარისა 1:0 | 90 | | 13 | 0 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*





# ვინ მოუხდება ბაიერნს?

## ბეკენბაუერმა შუსტერი გაამზადა

**ბერნდ შუსტერზე** ტაციაობაა — „ნიბელუნგის“ ხელში ჩასაგდებად მებრძოლ ესპანურ გრანდებს, „რეალსა“ და „ბარსელონას“ მიუნხენის „ბაიერნიც“ შეემატა. გერმანულ ტელევიზია „პრემიერთან“ ინტერვიუში „ბაიერნის“ მფლობელმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ შუსტერი მისი გუნდის მომავალ მწვრთნელად საუკეთესო ვარიანტია.

„ბაიერნი“ დღეს ბუნდესლიდერ „შალკეს“ თერთმეტი ქულით ჩამორჩება და ბავარიული გიგანტის მესვეურებსაც წლეულს ერთადერთ იმედად ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული გამოსვლა დარჩენიათ. გუნდმა ბუნდესლიგის 21-ე ტურში „არმინია“ კი დაამარცხა, მაგრამ უფერულად გამოიყურებოდა და მხოლოდ კინკილა გოლით იმარჯვა — მერვე წუთზე როი მაკაიმ გაიტანა.

ერთი სიტყვით, ბავარიელებს არ ულხინთ, მაგრამ „კაიზერ ფრანცი“ ოპტიმისტია და ფიქრობს, რომ მომავალ სეზონში, როცა „ალიანს არენაზე“ თავკაცად ბერნდ შუსტერს დანიშნავს, სიტუაცია გამოსწორდება.

„ბერნდმა ბოლო წლებში დიდი პროგრესი განიცადა, იგი შესანიშნავი სპეციალისტია. ვფიქრობ, მომავალ სეზონში სწორედ შუსტერთან უნდა ვითანამშრომლოთ“ — აღნიშნა ფრანც ბეკენბაუერმა.

„ბაიერნს“ ახლა სახელგანთქმული ოტმარ ჰიცფელდი წვრთნის. ძველი დამრიგებელი, ფელიქს მაგათი გერმანელებმა ცუდი შედეგების გამო მოხსნეს. „კაიზერ ფრანცმა“ კი ადრევე თქვა, ჩვენს გუნდს მწვრთნელად „ნიბელუნგი“ მოუხდებაო. თავად შუსტერი „ბაიერნთან“ მოლაპარაკებას უარყოფს, თუმცა, ბეკენბაუერს თუ ვენდობით, ეს დიდი დროის ამბავი არ უნდა იყოს...

ამასობაში კი შუსტერზე „ბარსელონა“ ნადირობს (კატალონიაში ეჭვობენ, რომ რაიკარდი მომავალ სეზონში „მილანის“ მწვრთნელი გახდება), „რეალმა“ კი უკვე გადაწყვიტა, ფაბიო კაპელო „ბერნაბეუდან“ ივნისში წავა და იგი სწორედ შუსტერმა უნდა ჩაანაცვლოსო...

**ლადო ხომერიკი**

# მიულერი: ალალ იყოს ჰამიტზე!



**გელზენკირხენის** „შალკეს“ თურქმა ნახევარმცველმა ჰამიტ ალტინტოპმა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასრულების შემდეგ სხვაგან გადავა. 24 წლის ფეხბურთელმა განაცხადა: „ბევრი რამ ვისწავლე „შალკეში“, მარცხიც ვნახე და გამარჯვებაც. ვფიქრობ, გუნდის გამოცვლის დრო მოვიდა.“

ალტინტოპი, რომელიც „ხუმარებმა“ 2003-ში „ვატენშაიდიდან“ იყიდეს, მირკო სლომკას ხელში ძირითად შემადგენლობაში მუდმივად ვერ ხვდება. კლუბის სპორტულმა დირექტორმა ანდრეას მიულერმა თქვა: „მისი დატოვება ძალიან გვინდოდა, რადგან უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. სამწუხაროდ, უარი გვითხრა და ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ.“

გერმანული მედიის ცნობით, ალტინტოპს მიუნხენის „ბაიერნიდან“ შეთავაზება უკვე მიუღია. მაგრამ ამას არც ერთი მხარე არ ადასტურებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჰარგრივსმა მომავალი გაიცნო

**ინგლისის** ნაკრების და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი, რომელიც, სავარაუდოდ, სეზონის დამთავრების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავა, წინა კვირას მანჩესტერს ეწვია და კლუბის ინფრასტრუქტურას გაეცნო. ჰარგრივსის გადაბირებას ალექს ფერგიუსონი მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე ცდილობდა, მაგრამ „ბაიერნმა“ არა და არ დათმო. „მანჩესტერმა“ წლეულს იანვარშიც სცადა ინგლისელის ყიდვა და კვლავ არაფერი გამოუვიდა — „ბაიერნის“ შეფებმა ისევ უარი უთხრეს, ზაფხულამდე მოიცადეთო.

## ვონ ჰესენმა გაასწრო

**ბილეფელდის** „არმინიას“ მწვრთნელი თომას ვონ ჰესენი, რომელიც სეზონის დამთავრების შემდეგ უნდა წასულიყო, „ბაიერნთან“ 0:1 მარცხის მერე გადადგა.

— „ბაიერნთან“ მატჩამდე ვაცნობე კლუბს, რომ ჩემი საქმიანობა „არმინიაში“ კვირას დასრულდებოდა. გუნდში ვითარება არეულია და ამიტომ ახალი თავკაცია საჭირო, რომელიც წესრიგს დაამყარებს, რათა კლუბი ბუნდესლიგიდან გავარდნას გადაურჩეს“ — განაცხადა ვონ ჰესენმა.

„არმინიას“ დროებით ფრანკ გეიდეკი გაუძღვება.

## ქვათა სროლა გერმანულად

**გერმანიის** რეგიონალლიგის მატჩი ლაიპციგის „ლოკომოტივს“ და აუე-ს შორის ჩხუბით დასრულდა. მასპინძლებმა 0:3 წააგეს და ამით განრისხებულმა 800-მდე ფანმა პოლიციას ქვები დაუშინა. პოლიციელებმა გაგიჟებულთა დასაშოშმინებლად ტაბელური იარაღით ჰაერში სროლა ატეხეს.

შეტაკების შედეგად 36 სამართალდამცავი და ექვსი ფანი დაშავდა. ხუთი ჩხუბისთავი უკვე დააკავეს და ახლა მათ დამქაშებს ეძებენ.

## ჰილდებრანდმა სპარტაკს დასცინა

**გერმანიის** ნაკრების და „შტუტგარტის“ მეკარე ტიმო ჰილდებრანდი სეზონის ბოლოს გუნდიდან მიდის. ამბობდნენ, რომ მისი ყიდვა მოსკოვის „სპარტაკს“ სურდა, მაგრამ ჰილდებრანდმა „კიკერთან“ ინტერვიუში ეს ვარიანტი უარყო: „გერმანიის ნაკრების მეკარისთვის რუსეთში გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯი არ იქნება, ამიტომ ამ წინადადებას არც განვიხილავ. რაც შეეხება საჩემპიონო შანსებს, „შალკე“ შვიდი ქულით გვისწრებს და ვფიქრობ, ძალიან რთულია მათი დაწევა. უმჯობესია, გერმანიის თასის მოგებასა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაზე ვიზრუნოთ.“

## ბალაკისმაგვარი სოსა

**მიუნხენის** „ბაიერნს“ უბალაკოდ რომ გაუჭირდა, უკვე კარგად გამოჩნდა — ბავარიელებმა „ჩელსიში“ შარშან გადასული ნახევარმცველის სრულფასოვანი შემცვლელი ვერ მონახეს.

ამჟამად „ბაიერნმა“ თვალი არგენტინული „ესტუდიანტესის“ ხოსე ერნესტო სოსას მიაპყრო. გერმანული „შპორტალის“ ცნობით, მიუნხენური კლუბი მზადაა, მის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. სოსა 21 წლისაა და ესპანური პასპორტი აქვს.

„ბაიერნს“ „მარსელიდან“ ფრანკ რიბერის ან „ვილიარეალიდან“ ხუან რიკელმეს ყიდვა სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა, ამიტომაც მიადგა სოსას, რომლის გადაბირებას „მილანიც“ ცდილობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კალუს ჩელსი არ ეპარება




კოტდივუარელი სალომონ კალუ დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება — იგი ნელ-ნელა იკიდებს ფეხს „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში, რაც ლონდონურ გუნდში არსებული დიდი კონკურენციის პირობებში ადვილი ნამდვილად არ არის.

ამ უქმეებზე „ჩელსიმ“ „მიდლსბროს“ 3:0 მოუგო. იმ შეხვედრაში კალუმ 85 წუთი ითამაშა და ბევრი თავსატეხიც გაუჩინა მცველებს...

— რას იტყვით „მიდლსბროსთან“ მატჩზე?

— მართალია, 3:0 მოვიგეთ, მაგრამ მთლად ასე იოლიც არ ყოფილა ყველაფერი. ეს პირველი ტაიმშიც გამოჩნდა, როცა მეტოქეს ვუტევდით, თუმცა გოლის გატანა ძალიან გაგვიჭირდა...

— ალბათ გეხსომებათ, ამ ჩემპიონატში „ჩელსიმ“ პირველი მარცხი სწორედ „მიდლსბროსგან“ იწვნია...

— დიახ, მახსოვს — „რივერსაიდზე“ 1:2 წავაგეთ და ახლა რევანში ავიღეთ.

— რევანში შედგა, ოღონდ ადრინდელისგან განსხვავებული სქემით...

— 4-3-3 სქემით ვითამაშეთ. დიდიე დროგბა ცენტრფორვადი გახლდათ, რომელსაც ანდრეი შევჩენკოც უნდა მიხმარებოდა. მე და ანდრეის მცველები უნდა გაგვეტყუებინა, რათა დროგბას მეტი სივრცე ჰქონოდა.

— ამ ჩანაფიქრმა გაამართლა?

— ბოლომდე ვერა, რადგან დროგბამ ორივე გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა, ანუ ყველაფერი მაინც ინდივიდუალური ოსტატობით გადაწყვიტა. რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ, ვფიქრობ, მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ.

— პირველი გოლი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ გადამწყვეტიც?

— ალბათ, კი. გოლი პირველი ტაიმის წამატებულ წუთზე გავიტანეთ და ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამან „მიდლსბრო“ გატეხა და ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოვიპოვეთ, რამაც მეორე ტაიმში საქმე გაგვიადვილა.

— არადა, საგოლე მომენტები სტუმრებსაც ჰქონდათ...

— მეკარემ გვიხსნა — მარკ კოდუკას და იაკუბუ აიეგბენის დარტყმები მოიგერია. სწორედ მაშინ მივხვდით, რომ ეს ერთი გოლი საკმარისი არ იყო...

— მალე „პორტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩებია. მზად ხართ?

— დიახ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, „მიდლსბროსთან“ ზედმეტი ძალების დახარჯვის გარეშე მოგვეგო და, რაც მთავარია, ტრავმები აგვეცილებინა. მგონი, ეს მოვახერხეთ...

— პირველი მატჩი რომ პორტუგალიაშია, უპირატესობას თქვენ გაძლევთ?

— სტუმრად დაწყება ყოველთვის უფრო ადვილია. ჩემი აზრით, მცირე უპირატესობა გვაქვს...

— „პორტუ“ ჟოზე მაურინიუს ყოფილი კლუბია. რა რეაქცია ჰქონდა წილისყრის შემდეგ თქვენს მწვრთნელს?

— არ ვიცი, რას გრძნობდა მაურინიუ გულის სიღრმეში. ჯობს, ეს თავად მას ჰკითხოთ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პრინციპული და საინტერესო დაპირისპირება გველის.

— და ვინ გავა მომდევნო ეტაპზე?

— ეჭვი არ მეპარება: „ჩელსი“!

# გაუგონარი ფულის ამბავი

## რონალდუს უძვირესი ულტიმატუმი ბარსელონას სასარგებლოდ

ინგლისურ პრესაში გამოქვეყნდა წერილი „მანჩესტერ იუნაიტედის“ პორტუგალიელი ვარსკვლავის, კრიშტიანუ რონალდუს შესახებ. იქ წერია, რომ ფეხბურთელმა კლუბს გამაოგნებელი ულტიმატუმი წაუყენა — ან წელიწადში 8,3 მილიონი მომეცით ან წავალო, რაც სხვა სიტყვებით, ასე ჟღერს: ან მსოფლიოს უმდიდრეს ფეხბურთელად უნდა მაქციოთ ანაც მივდივარ...





ალექს ფერგიუსონის ბრილიანტს ხუან ლაპორტა „ბარსელონას“ მაისურას უმზადებს





ტრანსფერებში ხელგაწაფული შეიხი მანსურ ალ ბალავი

## კრიშტიანული საქციელი: თუ მე, მაშინ მე

სანამ შემოთავაზებულ თემას განვავრცობდეთ, 8,3 მილიონი ინგლისური გირვანქა ევროსა და ამერიკულ დოლარში გადავიყვანოთ, რათა ჩვენთვის უფრო გასაგები გახდეს, რას ითხოვს რონალდუ: 8,3 მილიონი გირვანქა 12,45 მილიონი ევრო ანუ 16,19 მილიონი დოლარი გახლავთ, ასე რომ...

ასე რომ, გაზეთი NEWS OF THE WORLD-ი ეჭვმა შეიპყრო, რომ ასეთი ხელფასის მოთხოვნა უფრო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ურთიერთობის ჩიხში შეყვანის ცდაა, ვიდრე მართლა ფულის სურვილი და გამოიძია, რომ არსებობს მავანი არაბი მენავთობე შეიხი, სახელად მანსურ ალ ბალავი, რომელიც მზადაა, 30 მილიონ გირვანქას (58,53 მილიონი დოლარი ან 45,01 მილიონი ევრო) გავიდეს, ოღონდ კი რონალდო ზაფხულზე „ბარსელონაში“ გადაიყვანოს. იმავდროულად რონალდუს აგენტები ცდილობენ, თავიანთი შეგირდი კვირაში 160 ათას გირვანქიანი (240 055 ევრო ან 312 192 დოლარი) გახადონ.

რონალდუს მავანი ახლობელი: „კრიშტიანუს კონტრაქტის გამო უკვე უამრავი მოლაპარაკება გაიმართა. ლოგიკა ასეთია: რაკი „იუნაიტედმა“ არაერთხელ თქვა, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია, ესე იგი, მას მსოფლიოს საუკეთესო ხელფასიც ერგება“.

ცნობილია, რომ რონალდუს შეძენას „ბარსელონას“ გარდა მეორე ესპანური გიგანტი, მადრიდის „რეალიც“ ლამობს.

მაგრამ დავუბრუნდეთ საუდელ არაბ შეიხ მანსურ ალ ბალავის, რომელიც სამშობლოში კლუბ „ალ იტიჰადს“ ფლობს და საფეხბურთო ბიზნეს-არხებით „ბარსას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტასთან არის დამეგობრებული. ზემოხსენებული პატივცემული ინგლისური გაზეთი შეიხს დაუკავშირდა და მისგან პატიოსანი პასუხი მიიღო: „მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა „ბარსელონას“ ისეთი ფეხბურთელი ვაყიდინო, კრიშტიანუ რომ გახლავთ“.

ისე, სანამ რონალდუ გამდიდრდება, მოდი, გავარკვიოთ, ვინ არის მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი. ბუნებრივია, ასეთი, უპირველეს ყოვლისა, „ჩელსიში“ უნდა ვეძებოთ და მართლაც, დღეს მსოფლიოს ყველაზე დიდჯამაგირიანი მოთამაშე გერმანელი მიხაელ ბალაკი გახლავთ. მისი შემოსავალი კვირაში 130 ათასი გირვანქის ტოლია, თუმცა მალე ბალაკს მისი კაპიტანი ჯონ ტერი გაასწრებს. ტერი „ჩელსისთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს და კვირაში 150 ათასთან ძალიან ახლოს არის, ოღონდ ეგაა, რამდენ ხანს დასცალდება პირველობა? აგერ, 22 წლის პორტუგალიელი „მანესტერ იუნაიტედს“ ულტიმატუმებს უყენებს და ვინ იცის, ინგლისელებმაც მისი შენარჩუნება ამჯობინონ...

და კიდევ: ცნობილი ამბავია, რომ წინა კვირას, როდესაც ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებებმა ამხანაგური მატჩი ლონდონში გამართეს, მასზე დასასწრებად ბარსელონიდან ინგლისის დედაქალაქში საგანგებოდ ჩაფრინდა კატალონიური კლუბის საფეხბურთო საქმეთა დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი, რომელიც ტრიბუნაზე რონალდუს აგენტ ჟორჟე მენდეშთან ერთად იჯდა. ხოლო, რაც შეეხება თავად რონალდუს, მან ცეცხლს ნავთი დაამატა:

„არასდროს დამიმალავს, რომ ესპანური ფეხბურთი საგანგებოდ მიყვარს. სწორედ ამგვარი თამაში მიტაცებს, თუმცა კონტრაქტი „იუნაიტედთან“ მაქვს და თუ რომელიმე ესპანურ კლუბს ჩემი შეძენის სურვილი აქვს, ის ჩემს აგენტს ელაპარაკება და არა მე“.

და ბოლოს, „ბარსასა“ და არაბული კლუბის თანამშრომლობის შესახებ: კატალონიელთა პრეზიდენტი ლაპორტა ამასწინათ გახლდათ არაბეთში, სადაც ორმხრივ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულების თანახმად, გუნდებს შორის უნდა გაიმართოს ორი ამხანაგური მატჩი და უნდა ამოქმედდეს ექვსი საფეხბურთო აკადემია.

ცნობისთვის: „ალ იტიჰადი“ სწორედ ის გუნდია, რომელმაც ესპანელი აგენტის მარიამ მონტანოს შუამავლობით ახლახანს ლუიშ ფიგუ გადაიბირა.

მონტანო ამბობს: „სადღეისოდ „ალ იტიჰადსა“ და „ბარსელონას“ შორის ძალიან მჭიდრო თანამშრომლობაა და თუ პარტნიორისთვის ფინანსური მხარდაჭერის საშუალება მიეცემა, შეიხი მანსურ ალ ბალავი თავს ბედნიერად იგრძნობს“.

რამდენადაც ცნობილია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ სულ რაღაც ერთი კვირის წინ რონალდუს კვირაში 100 ათასს სთავაზობდა...

**პაპუნა ძიძია**

## სტივ მაკლარენის ბოლო ისრაელშია

**სტივ მაკლარენს** მოხსნა ემუქრება, თუკი მისი ინგლისი 24 მარტს ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში სტუმრად ისრაელთან ვერ მოიგებს — ამის შესახებ წერს THE PEOPLE.

ყოველკვირეული ჟურნალის ცნობით, ფეხბურთის ასოციაციაში განხეთქილებაა — ერთნი მხარს უჭერენ და ენდობიან მაკლარენს, მეორენი კი მის გაშვებას ითხოვენ. წინა ოთხშაბათს, შინ ესპანეთთან ამხანაგური თამაშის წაგების შემდეგ, მწვრთნელის მოწინააღმდეგეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ისრაელთან მარცხის შემთხვევაში ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე ინგლისელთა გასვლის შანსები უფრო შემცირდება.

ამჟამად მაკლარენის გუნდი შესარჩევ ჯგუფში მესამე ადგილზეა შვიდი ქულით — მათ მოუგეს ანდორას და მაკედონიას სტუმრად, მაკედონიელებსვე დაუზავდნენ შინ, ხოლო ხორვატიაში წააგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



## რადიო ჩელსურ ჭადრაკს თამაშობს

### არც მანჩინი, არც ჰიდინკი

**იტალიური** „რადიომერკატოს“ ვერსიით, ზაფხულში მწვრთნელთა ასეთი გადაადგილება მოხდება: მილანის „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი ლონდონის „ჩელსიში“ გადავა, გუს ჰიდინკი კი რუსეთის ნაკრებს მიატოვებს და „ინტერის“ თავკაცად მოგვევლინება.

დიდი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, რა აბრამოვიჩი, რის „ჩელსიო“ — იტალიელმა მწვრთნელმა ჯერ კიდევ სამი კვირის წინ უარყო ჭორები, ხოლო ჰოლანდიელმა ბრიტანულ „მაილს“ გუშინ განუცხადა: „კატეგორიულად უარვყოფ რომან აბრამოვიჩთან მოლაპარაკებას. რუსეთის ნაკრები მაბარია და კონტრაქტის დასრულებამდე, ანუ 2008 წლის ივლისამდე აქ ვიმუშავებ. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი სამსახურით და არსად წასვლას არ ვაპირებ. როგორ ფიქრობთ, საქმეს შუა გზაზე მივატოვებ და „ჩელსიში“ გადავბარგდები?!“

**ვაჟა ხუციშვილი**




# გვაგინა და გაგვთათხა. ერთი თოფი არ უსვრია... მსაჯმა პატარა შიგანი სამოც წამში გააღწამა

**ფეხბურთში** ხშირად ხდება უსამართლობა და კვირა საღამოს ეს კიდევ ერთხელ მოხდა ჩრდილოეთ ლონდონში, სადაც „არსენალმა" ბოლო 10 წუთში მოუგო „უიგანს" 2:1.

ამ გამარჯვებით „არსენალი" აგრძელებს ბრძოლას ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, „უიგანი" კი ეგებ გავარდეს კიდეც.

ამ თამაშის მსაჯი დერმოტ გალაჰერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან „ქუინზ პარკისა" და ჩინეთ. ს ოლიმპიური ნაკრების ჩხუბით დამთავრებული მატჩი იმსაჯა, სიიდან ამოიღეს და რეფერად ფილ დოუდი დანიშნეს.

დოუდმა კი, თავის ასისტენტებთან ერთად, სულ რაღაც 60-წამიან მონაკვეთში გადამწყვეტი შეცდომები დაუშვა და „მეთოფეებს" თამაშის ბედი გარდაატეხინა.

„უიგანი" დენი ლანძაატის გოლით იგებდა და, როცა თამაშის დამთავრებამდე 10 წუთი რჩებოდა, მეტიუ ფლამინიმ ხელებით დაბორკა ემილ ჰესკი თავის საჯარიმოში. დოუდს პენალტი უნდა დაენიშნა და ფლამინი გაეძევებინა, მაგრამ თამაშის გაგრძელება ბრძანა და სწორედ ფლამინი გამოდგა ის კაცი, ვინც თამაშგარედან გაჭრა ბურთი მეტოქის კარის წინ, რომელიც უიგანელმა ფიტც ჰალმა თავის კარში ჩაჭრა ამ შეტევის წინ კი დოუდმა მინდორზე არ შემოუშვა ტრავმის გამო გასული სტუმართა ჯო სკოკო...

მერე როსიცკიმ თავურით მოაგებინა „არსენალს".

თვით არსენ ვენგერმაც კი თქვა, რომ მსაჯი მისი გუნდის სასარგებლოდ შეცდა. „უიგანის" მენეჯერი პოლ ჯუელი კი აღშფოთებული იყო: „პრემიერლიგის წამყვანმა მენეჯერმა მითხრა, რომ ასეთი სახიზღარი მსაჯობა არასდროს უნახავს. არ გავამხელ ვინ, მაგრამ ასე კი მითხრა. ის კაცი არ ვარ, მსაჯს რომ აბრალებს ხოლმე რამეს, მაგრამ მისტერ დოუდმა სამჯერ გვიმსაჯა ამ სეზონში და სამჯერვე მასზე ლაპარაკმა მომიწია".

ესეც არ იყოს, „უიგანის" აღელვებული ფეხბურთელებისთვის დოუდს ცნობილი F...K OFF-იც უთქვამს.

„მე კი მითხრა, რომ თუ არ გავჩერდებოდი, სტადიონს იქითაც გამაძევებდა" — თქვა ჯუელმა.

„მგონი, მას კონტრაქტში უწერია, რომ პენალტი არ უნდა დადოს. ჩვენ რომ ამ წაგების გამო გავვარდეთ, 50-მილიონიან შემოსავალს ვკარგავთ".

დოუდი კი, ცხადია, დუმს...

**ირაკლი გამყრელიძე**

# არავითარი სხვა რამ, მხოლოდ იღბალი

**ლონდონის „არსენალმა" ამ კვირას გვარიანად ინვალა „უიგანთან". „მეთოფეები" ბოლო წუთებამდე აგებდნენ ერთ-ერთ აუტსაიდერთან, მაგრამ 81-ე და 85-ე წუთებზე გატანილი გოლებით მაინც მოიგეს. ამ საკმაოდ სკანდალურ გამარჯვებაში მოზრდილი წვლილი მეტიუ ფლამინიმაც შეიტანა, რომელიც მოედანზე 67-ე წუთზე თეო უოლკოტის ნაცვლად შევიდა...**

**— „უიგანთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში არ იყავით. რა იყო ამის მიზეზი?**

— წინა მატჩი „მიდლსბროსთან" არცთუ კარგად ჩავატარე და შესაძლოა, ეს იყო იმის მიზეზი, რომ მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში უოლკოტი დააყენა.

**— პრემიერლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერთან საკმაოდ გაგიჭირდათ...**

— „უიგანი" თავს კარგად იცავდა და საჯარიმოსთან არ გვიშვებდა. თანაც გოლი, რომელიც გავუშვით, მთლად ლოგიკური არ იყო. თუმცა მეორე ნახევარში იღბალმა ზურგი აღარ გვაქცია.

**— რა გითხრათ არსენ ვენგერმა შესვენებაზე?**

— გვთხოვა, ბურთზე კონტროლი არ დაგვეკარგა, ხოლო თავდასხმაში უფრო სწრაფად და აქტიურად გვეთამაშა. ისიც გვითხრა, თუ მოგება გვინდა, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გავიტანოთო.

**— კი მაგრამ, დიდი ალბათობა იყო, თავდასხმაში გააქტიურებას მეტოქის სახიფათო კონტრიერიშები გამოეწვია...**

— ემილ ჰესკი და ჯულიუს აგაჰოვა ძალიან სახიფათონი იყვნენ და ამიტომ ჩვენს ორ მცველს მათზე პერსონალური მეურვეობა დაეკისრა. დანარჩენი ორი კი შეტევებში უნდა ჩართულიყო და თავდამსხმელებს მიხმარებოდა.

**— მეორე ტაიმში სწრაფი გოლის გატანა არ გამოგივიდათ...**

— ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი დრო რჩება მატჩის დამთავრებამდე. ფეხბურთი 90 წუთი გრძელდება და პირველ თუ ბოლო წუთზე გატანილი ერთნაირად ფასობს.

**— ანუ გჯეროდათ, რომ ადრე თუ გვიან გაიტანდით?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ პირველად არ ჩავვარდნილვართ ისეთ ვითარებაში, როცა მატჩის შემობრუნება გვიწევს.

**— მართალია. და რატომ იგდებთ ხოლმე თავს ასეთ სიტუაციაში?**

— არ ვიცი... შესაძლოა, პირველ ტაიმში კონცენტრაცია არ გვყოფნის და მეტოქეები ამით სარგებლობენ.

**— ეს კი ძალიან სარისკოა...**

— საბედნიეროდ, ჯერჯერობით ჩვენი თავდასხმა იმდენად ძლიერია, რომც ვაგებდეთ, შეგვიძლია მატჩების შემობრუნება. ასე მოხდა „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაშიც. „უიგანის" დარად, ვერც მანჩესტერელებმა გაგვიძლეს ბოლომდე...

**— უიგანელებს გამთანაბრებელი საკუთარ კარში რომ არ გაეტანათ, ეგებ ვერც მოგეგოთ...**

— ალბათ, მაგრამ ახლა ამაზე საუბარს რა აზრი აქვს... საბედნიეროდ, მოვიგეთ.

**— თან თქვენმა უშუალო კონკურენტმა „ლივერპულმა" წააგო...**

— ჩვენ ყველა მატჩში მოსაგებად ვთამაშობთ, იმის მიუხედავად, როგორ ითამაშებენ ჩვენი კონკურენტები. ახლა მიზნად „ჩელსის" დაწევა დავისახეთ და ვნახოთ...

**— ეს რეალური გგონიათ?**

— ჯერ კიდევ ბევრი მატჩი დარჩა და შანსი რომ გვაქვს, ფაქტია. მთავარია, ჩვენი თამაშები მოვიგოთ...


მეტიუ ფლამინი

## ჩელსი ტრავმას ყიდულობს

**„ჩელსი"** „დეპორტივოს" ცენტრალურ მცველ ჟორჟე ანდრადეს ყიდვას აპირებს და ეს ტრანსფერი დაახლოებით რვა მილიონი გირვანქა დაუჯდება. NEWS OF THE WORLD-ის ცნობით, ლონდონური კლუბი უკვე მოურიგდა ლაკორუნიელებს და სეზონის დასრულების შემდეგ ანდრადე „ჩელსიში" გადავა.

შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელ მცველს მუხლის ტრავმის გამო ერთი წელი გაუცდა.

და კიდევ, „ჩელსი" ახალი სტადიონის ასაშენებლად დასავლეთ ლონდონში ადგილს ეძებს. სტადიონი სუპერთანამედროვე იქნება და 55 ათას მაყურებელს დაიტევს.

## რეიესია თუ ფიგარო?

**ხოსე ანტონიო რეიესი,** რომელიც ლონდონის „არსენალმა" მადრიდის „რეალს" ათხოვა, შესაძლოა, კვლავ „მეთოფეებს" დაუბრუნონ. „დეილი სტარი" წერს, რომ ლონდონელებმა მარცხენა ნახევარმცველი 20 მილიონ გირვანქად შეაფასეს. „რეალი" კი ამდენი ფულის გადახდას არ აპირებს ფეხბურთელში, რომელიც უკვე რამდენიმე ტურია, ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება.

## ვილია ძვირია

**„სანდი ექსპრესის"** ცნობით, „ვალენსიას" ფორვარდი დავიდ ვილია გახდება პირველი ფეხბურთელი, რომელსაც „ლივერპული" ზაფხულში შეიძენს. ვილია მეორე სეზონს ატარებს „ვალენსიაში", პრიმერადივიზიონში 20 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაში — 4. წინა სეზონში მან 37 მატჩში 25 მოაგროვა. „ლივერპულის" ახალი მეპატრონენი ესპანელის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქის გადახდას აპირებენ.

რაფაელ ბენიტესს ვილიას გარდა, საყრდენი ნახევარმცველის, მანუელ ფერნანდესის ყიდვაც სურს. იგი „ბენფიკას" ეკუთვნის და „ევერტონშია" განათხოვრებული. ფერნანდესის ფასი 8 მილიონი გირვანქაა.

## მინისტრების ჩემპიონატი

**ბრიტანეთის** ფინანსთა მინისტრი გორდონ ბრაუნი, სპორტის მინისტრი რიჩარდ კებორნი და კულტურის მინისტრი ტერა ჯოული ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რათა ინგლისმა მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატს უმასპინძლოს.

უკვე გადაწყვეტილია — 2012-ის ოლიმპიადა ლონდონში გაიმართება და თუ 2018-ის მუნდიალის მასპინძლობის უფლებასაც ინგლისი მოიპოვებს, ბრაუნის თქმით (რომელიც პრემიერმინისტრობის მთავარი კანდიდატია), მომავალი ათწლეული ქვეყნის ისტორიაში უდიდესი იქნება.

## სინენკოს სამუდამო შეუფარდეს

**დონეცკის** სააპელაციო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ვიაჩესლავ სინენკოს, ვისაც „შახტარის" პრეზიდენტ ახატ ბრაგინის მკვლელობაში მონაწილეობა დაბრალდა. გარდა ამისა, 1995 წელს დონეცკის სტადიონზე აფეთქების გამო დაზარალებულთა ოჯახებს სინენკომ 50-50 ათასი გრივნა უნდა გადაუხადოს. ამ ტრაგედიისას ბრაგინის გარდა მისი ხუთი მცველი და მზარეული გარდაიცვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# — მათამაშეთ — ითამაშე — არ ვითამაშებ

## განხეთქილება ბარსელონაში: რაიკარდმა ეტოოს ვერაფერი გაუგო

„ბარსელონას“ ფორვარდმა სამუელ ეტოომ სანტანდერის „რასინგთან“ თამაშზე უარი განაცხადა. კამერუნელმა ოქტომბერში ვერდერის „ბრემენთან“ მიღებული ტრავმა ახლახან მოირჩინა, 140 დღე მოუთმენლად ელოდა „კამპ ნოუზე“ თამაშს, მაგრამ...



საქმე სათამაშო წუთებს ეხება — აფრიკელს ეგონა, რომ სანტანდერელებთან მატჩში ნახევარ საათს მაინც გაატარებდა მოედანზე, თუმცა დრო გადიოდა, ფრანკ რაიკარდი კი დინჯად იჯდა სკამზე და ბოლოსდა გადაწყვიტა ეტოოს შეყვანა. როცა ეტოომ დაინახა, რომ შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთიღა რჩებოდა, მოთელვა შეწყვიტა და გაბრაზებული სახით მიუჯდა კატალონიური გრანდის სხვა სათადარიგო ფეხბურთელებს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა ფრანკ რაიკარდს ჰკითხეს, ეტოო რატომ არ გამოიყვანეთ, ტრავმა ხომ არ გაუმიზეზდაო...

„ეტოო? იგი მოთელვაზე იყო, მოედანზე შესასვლელად ემზადებოდა, მაგრამ ბოლოს თამაშზე უარი გვითხრა“ — განაცხადა „ბარსელონას“ მწვრთნელმა.

საერთოდ, რაიკარდი ყოველთვის ცდილობს, პრობლემები გუნდის შიგნით მოაგვაროს და, რაც კატალონიელთა დამრიგებელი გახდა, ასე სახალხოდ არც ერთი ფეხბურთელით არ გამოუხატავს უკმაყოფილება. კვირას კი ძალიან განრისხებული ჩანდა ჰოლანდიელი.

„რასინგთან“ თამაშამდე სამუელმა იცოდა, რომ შეცვლაზე უნდა შესულიყო, ოღონდ ბურთაობას დანატრებული კამერუნელი მხოლოდ ხუთწუთიანი ჯირითით არ დაკმაყოფილდა...

აფრიკელი თითქმის ნახევარ საათს დარბოდა მოედნის კიდესთან, ხურდებოდა და მოუთმენლად ელოდა, როდის მისცემდა მწვრთნელი თამაშის ნებას...

მოლოდინი მრისხანებამ შეცვალა, როცა რაიკარდის თანაშემწე ეუსებიო საკრისტანმა 84-ე წუთზე ამცნო ჰოლანდიელის გადაწყვეტილების შესახებ, ეტოო სკამზე ისე დაჯდა, საკრისტანისა და რაიკარდისთვის არავითარი ახსნა-განმარტება არ მიუცია.

„მინდოდა, ეტოოს ეთამაშა. ეუსებიოს ვუთხარი, ეტოო მოედანზე შეეშვა, მაგრამ მან უარი თქვა ისე, რომ საკრისტანისთვის მიზეზი არ გაუმხელია“ — ამბობს ფრანკ რაიკარდი.

ბარსელონელ ფეხბურთელებს კი თანაგუნდელი არ გაუკიცხავთ...

„ეტოოს მებრძოლი ხასიათი აქვს. წარმოიდგინეთ, როგორ უჭირდა მაშინ, როცა ტრავმირებული საწოლს იყო მიჯაჭვული და ჩვენს თამაშს ტელევიზორით უყურებდა. ახლა ტრავმა მოირჩინა და სურს, გუნდს ყველანაირად დაეხმაროს“ — აღნიშნა ბრაზილიელმა ედმილსონმა.

საინტერესოა, რომ კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტაც კამერუნელის მხარეს დადგა და სამუელისთვის სადისციპლინო სასჯელის გამოტანას არ აპირებს...

„ეტოო ოთხი თვე წვალობდა და მას ბედნიერებისთვის თამაში და გოლების გატანა სჭირდება. ახლა მხარში უნდა დავუდგეთ. ფრანკ რაიკარდმა შეგირდებთან ურთიერთობა შესანიშნავად იცის და ამ სიტუაციიდანაც სწორ გამოსავალს მოძებნის“ — თქვა ლაპორტამ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რაიკარდს და აფრიკელს სერიოზული უთანხმოება ადრეც მოსვლიათ — ესპანეთის სუპერთასის ფინალში ეტოოს გამარჯვება არც აღუნიშნავს, შეცვლით განაწყენებული ადრევე წავიდა სახლში...

**ლადო ხომერიკი**

# რეალი ალკოჰოლის სუნში და დიდ შარში გაეხვია

## სახეში ფურთხი კაპელოს: რონალდო ვარჯიშებზე მთვრალი მიდიოდა







„ჩემი მწვრთნელობის პერიოდში რონალდო ასპროცენტიან საბრძოლო მზადყოფნაში არასდროს მინახავს, თუმცა იგი მადრიდიდან არავის გაუგდია, „მილანში“ თავისი ნებით წავიდა“ — თქვა მადრიდის „რეალის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, ვინც ცდილობს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდის „სანტიაგო ბერნაბეუდან“ გაგდება მას არ დაბრალდეს, თუმცა...

ექსრეალელი კიჭა ინტერვიუებში სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. ამბობს; რომ კარიერაში ერთის გარდა ყველა მწვრთნელს ემადლიერება. მისი აზრით, კაპელომ „რეალში“ მისვლისთანავე აითვალწუნა, რის გამოც რონის მადრიდული ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა.

ვის მხარესაა ამ ორს შორის სიმართლე? ფაქტია, კაპელოს ბრაზილიელი მართლა არ მოსწონდა, მაგრამ ეს ანტიპათია ციდან ხომ არ „ჩამოვარდნილა“?! რონალდომაც საკმაოდ იჯირითა იტალიელის ნერვებზე — თქმა არ უნდა, რომ დონ ფაბიოს რკინისებურ დისციპლინას ყველაზე მეტად გართობისმოყვარული „კიჭა“ უჩენდა კოროზიას.

კაპელოს მოთმინების ფიალა „ესპანიოლთან“ მატჩამდე (2006 წლის 17 დეკემბერი) რამდენიმე დღით ადრე შეივსო. კატალონიური „სპორტი“ ამტკიცებს, რომ რონალდო ვარჯიშზე ღამის ბოჰემური ავანტიურისგან გამოფიტული და გვარიანად ნაყლაპი მივიდა, რაც იტალიელმა მწვრთნელმა სახეში შეფურთხებად მიიღო. ჟურნალისტების თქმით, კაპელომ აღარ იცოდა, რა ექნა მრისხანებისგან. ვილას ახსოვდა მხსნელი რონალდო, 6 დეკემბერს ჩემპიონთა ლიგაში კიევის „დინამოსთან“ გადამწყვეტი ორი გოლი რომ შეაგდო?

კაპელოს თანაშემწეებმაც ცეცხლს ნავთი დაასხეს — ერთ-ერთმა ასისტენტმა (რომლის ვინაობას არც მადრიდული და არც ბარსელონური გაზეთები ჯიუტად არ ამხელენ) კაპელოს ყურში ჩაუსისინა: „მთელი „რეალი“ ალკოჰოლის სუნად ყარს. განსაკუთრებით რონალდო. თუ უახლოეს ხანში გადამჭრელი ზომები არ მივიღეთ, გუნდი თავზე დაგვემხობა“.

და რა უნდა ექნა ამის შემდეგ დონ ფაბიოს? რა და, „რკინის ქალამნები ჩაიცვა, ხელთ რკინის არგანი დაიჭირა“ და სანამ ბრაზილიელი იტალიაში არ გაუშვეს, „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონის კაბინეტს არ მოსცილებია...

ჰო, კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: „მილანში“ გადასვლამდე რამდენიმე დღით ადრე „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა რონალდო კაბინეტში შეიყვანა და უთხრა: „კაპელო გემდურის. ყველაფერთან ერთად, წონის პრობლემებსაც ვერ მოუარე... თუ „რეალში“ დარჩენა გინდა, სულ მცირე, სამი კილოგრამით მაინც უნდა დაიკლო“.

ამაზე „კიჭამ“ უპასუხა, რომ მწვრთნელის ინტრიგებმა თავი მოაბეზრა, დაიღალა, „რეალის“ დონის კლუბში თამაშს ვეღარ შეძლებს და სხვაგან გადასვლა უნდა.

ვითომ „მილანი“ დაბალი დონეა? შეგახსენებთ: გუშინწინ რონალდომ პირველად მოირგო შავ-წითელი მაისური — სერია A-ს 23-ე ტურში, „ლივორნოსთან“ მატჩში (2:1) ბოლო 27 წუთი ითამაშა.

**ლადო ხომერიკი**



# დიდიეს დიდი გასაჭირი

## პატარა წარუმატებლობა და დიდი ჯანყი იუვენტუსში

**ორიოდ** სიტყვით დიდიე დეშანის შესახებ: „იუვენტუსის“ მწვრთნელის პოზიციები ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ აშკარად განსხვავდება ადრინდელისგან.

ახლა, უპირველეს ყოვლისა, განვმარტოთ სიტყვა „წარუმატებელი“. საქმე ის არის, რომ გუნდზე, რომელიც ცხრილში პირველ-მეორე ადგილებს იყოფს, ალბათ წარუმატებელი არ ითქმის, მაგრამ როდესაც ეს გუნდი „იუვენტუსია“, საუბარი კი სერია B-ს ეხება, მაშინ, შესაძლოა, სწორედ ასეც იყოს.

მოკლედ, ტურინული სპორტული გაზეთის „ტუტოსპორტის“ თქმით, „იუვენტუსი“ ზაფხულამდე მწვრთნელის გამოცვლას არ აპირებს, მაგრამ კითხვას, ის კაცია თუ არა დეშანი, ჩვენ რომ გვჭირდება, პასუხი აშკარად გასაცემი აქვს.

ამასობაში ცნობილი ხდება, რომ მწვრთნელს „აუჯანყდნენ“ ფეხბურთელებიც. შესაძლოა, ყველა არა, მაგრამ დავიდ ტრეზეგე, მაურო კამორანეზი, ვალერი ბოჟინოვი, მარსელო ზალაიეტა, ჯონათან ძებინა და კლაუდიო მარკისიო აშკარად უკმაყოფილოთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

ბუნებრივია, მდგომარეობას თავად დეშანიც აკვირდება და იმასაც ამბობს, რომ თავს გამოცდაზე გამსვლელ ბავშვად ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ, „სპეციასთან“ ფრის შემდეგ გრძნობდა. შობის შემდეგ „იუვენტუსმა“ ხუთ თამაშში მხოლოდ რვა ქულა მოიპოვა და ამით ქომაგებს რომ გააბრაზებდა, აბა, რა მიხვედრა უნდა.

და რა გამოსავალს სთავაზობენ კლუბს გულშემატკივრები? ამის პასუხიც იოლი მისახვედრია — „ბებერი ქალბატონის“ ყოფილი თავკაცი, შეიძლება ითქვას, უკვე ლეგენდარული მარჩელო ლიპი, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ იტალიის ნაკრების მწვრთნელი აღარ არის. ის უმუშევარია...

ამასობაში კი ხორვატმა იგორ ტუდორმა გადაწყვიტა, ტურინელებთან რვაწლიანი თანამშრომლობა აღარ გააგრძელოს. როგორც ჩანს, ამქვეყნად, მართლა ყველაფერს აქვს დასასრული...

**ბაჩუნა ძედია**

## მილიონერები სვამენ ცივ წყალს



**ჰოლანდიურმა** sportsweek-მა იმ თანამემამულე სპორტსმენთა რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლებმაც ყველაზე მეტი ფული იშოვეს 2006 წელს.

საინტერესოა, რომ საუკეთესოთა სამეულში ორი ფეხბურთელი მოხვდა — მეორე ადგილზე მადრიდის „რეალის“ ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროოი გავიდა 8 მილიონ 800 ათასი დოლარით, მესამეზე კი მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი როი მაკაი 7 მილიონი დოლარით.

ყველაზე მეტი კი ბეისბოლელმა ენდრიუ ჯონსმა იშოვა — 13 მილიონ 500 ათასი დოლარი.

აღსანიშნავია, რომ ორივე „პრიზიორი“ ფორვარდი ფეხბურთელებადაც საუკეთესოთაგანი არიან ჰოლანდიაში, თუმცა ნაკრების თავკაც მარკო ვან ბასტენთან საერთო ენას ვერ პოულობენ.

**ძახა შალამბერიძე**

## ყოფილი ქვეყნის დიდი ლეგენდა



**ყოფილი** გდრ-ის ნაკრებისა და იენის „კარლ ცაისის“ ყოფილი თავკაცი გეორგ ბუშნერი 81 წლისა გარდაიცვალა.

ბუშნერი აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრების ლეგენდარული მწვრთნელი გახლდათ — სწორედ მისი თავკაცობით მოიგო გდრ-ის ნაკრებმა ოლიმპიური ოქრო 1976 წელს, ოთხი წლით ადრე კი ვერცხლს დასჯერდა.

ბუშნერი გახლდათ იმ ნაკრების თავკაციც, რომელმაც მაშინდელ მოქიშპე გფრ-ს 1:0 სძლია.

აწ გარდაცვლილი სპეციალისტი გდრ-ის ნაკრებს 1970–81 წლებში წვრთნიდა.

**ძახა შალამბერიძე**

## ...და ეს რა ღა უბედურებაა?!

**ტურინის** „იუვენტუსმა“ შაბათს „ვიჩენცასთან“ დაკარგა ორი ქულა.

„სტადიო მენტიზე“ „ბებერი ქალბატონი“, ფაქტობრივად, მოგებული მატჩიდან ოდენ ფრეს გამორჩა.

„იუვე“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა, თანაც ტურინელებმა დებიუტშივე გახსნეს ანგარიში — პაველ ნედვედის ჩინებული პასი რაფაელე პალადინომ მშვენივრად დაამუშავა და გატანაც არ გასჭირვებია.

მე-60 წუთზე იმავ ნედვედმა ალესანდრო დელ პიეროს გაუწია ასისტენტობა და 0:2.

ამის მერე დეშანის შეგირდები მოდუნდნენ და დაისაჯნენ კიდეც. მცველების მორიგი უყურადღებობის და ბავშვური შეცდომების გამო ჯანლუიჯი ბუფონს ხუთ წუთში ორჯერ მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა.

„ბრწყინვალედ დავიწყეთ, ყველაფერი კარგად მიდიოდა და 2:0-საც ვიგებდით, მაგრამ მერე მოვდუნდით, კონცენტრაცია დავკარგეთ და შედეგიც სახეზეა. დამსახურება „ვიჩენცასაც“ არ უნდა დავუკარგოთ, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა. ქულების ასე ფლანგვა დაუშვებელია“ — თქვა დიდიე დეშანმა.

სათქმელია ისიც, რომ ტურინელთა ლაზარეთში ისევ ბევრი ფეხბურთელი რჩება. ეს ფრანგმა სპეციალისტმაც აღნიშნა: „თავის მართლებმა არ [illegible] რამდენიმე მოთამაშე გვაკლია, ძირითადად მცველები. ფაქტია, რომ უპატიებელი შეცდომები დავუშვით. ოღონდ არც ის დავივიწყოთ, რომ „ვიჩენცასთან“ მატჩში ჯორჯო კიელინიმ ერთთვიანი, ხოლო ნიკოლა ლეგროტალიემ სამთვიანი პაუზის შემდეგ ითამაშეს. ფეხს იტკივებდა ფელიჩე პიკოლოც. ფეხბურთელების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით, მაგრამ, სამწუხაროდ, დაცვაში ერთბაშად ბევრი პრობლემა შეგვექმნა“.

მიუხედავად ფრისა, „იუვენტუსი“ ისევ სერია B-ს სათავეშია. „ბიანკონერის“ დარად, 40 ქულა აქვს „ნაპოლისაც“. ტურინელები და ნეაპოლელები სამი ქულით უსწრებენ „რიმინის“, „მანტოვასა“ და „ბოლონიას“.

„ახლა ბიჭებს მშვიდად დაველაპარაკები და ავუხსნი, რომ ამგვარი რამ აღარ განმეორდეს. ამჟამად ლიდერები ვართ, მაგრამ წინ დიდი გზაა და ქულების ასე კარგვა არ შეიძლება. როცა წინ გავდივართ, კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ ხოლმე, ეს შეცდომა უკვე რამდენჯერმე დავუშვით. აღსანიშნავია, რომ როცა „ვიჩენცამ“ გაათანაბრა, ისევ კარგად ავთამაშდით, მაგრამ დრო აღარ გვეყო“ — დასძინა დეშანმა.

**გიორგი ძაძამიძე**



## ჭაღარა ჰეთ თრიქი

**41 წლის** რომარიო შეცვლაზე შევიდა, 10 წუთში ჰეთ თრიქი შეასრულა და თავისი გოლების მარაგი 990-მდე გაზარდა. ახლა ათიღა უკლია სანატრელ ათასამდე.

რომარიოს „ვასკუ და გამამ“ კარიოკას ჩემპიონატში „ვოლტა რედონდა“ 6:1 დაამარცხა — თმაშევერცხლილმა ფორვარდმა კი სამივე გოლი, როგორც ახალგაზრდობაში, მეკარის ბაქნიდან შეაგდო.

ზოგიერთი ბრაზილიური გაზეთი კი ამტკიცებს, ამ 990-ში რომარიოს ამხანაგურ მატჩებში გატანილებიც მიუთვალესო.

## ჩეხი გრძელდება

**ჩეხეთის** ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ მცველმა მარეკ იანკულოვსკიმ „შავ-წითლებთან“ კონტრაქტი 2011 წლის ივნისამდე გაახანგრძლივა. 29 წლის ფეხბურთელი „მილანში“ „უდინეზედან“ შარშან ზაფხულს გადავიდა. მისმა გოლმა კი გუშინწინ „შავ-წითლებს“ „ლივორნოსთან“ მოაგებინა.

შეგახსენებთ: ჩეხამდე კლუბთან კონტრაქტები გააგრძელეს კლარენს ზეედორფმა, ჯენარო გატუზომ და კაკამ.

### არგენტინა

**კლაუსურა. I ტური**

ხიმნასია (ლ) — არსენალი 0:2; ინდეპენდიენტე — კოლონი 1:3; ველესი — ოლდ ბოისი 2:0; ბანფილდი — ბოკა ხუნიორსი 0:4; სან ლორენსო — ხიმნასია (ხ) 2:1; რივერ პლეიტი — ლანუსი 1:0; როსარიო — ბელგრანო 1:0; გოდოი კრუზი — არგ. ხუნიორსი 2:0; ნუევა ჩიკაგო — რასინგი 1:1. ესტუდიანტესი — კილმესი ნუხელ გვიან დამთავრდა

### ჩილე

**პრიმერადივიზიონი III ტური**

მელიპილია — უნიონ ესპანიოლა 2:1; კოკიმბო — კოლო კოლო 0:3; სანტიაგო — ანტოფაგასტა 0:0; დეპორტეს კონსეპსიონი — ლა სერენა 1:1; უნივერსიდად კათოლიკა — პალესტინო 2:0; ლოტა — ატლეტიკო 1:1; კობრესალი — ო ჰიგინსი 2:0; კობრელოა — უაჩიპატო 3:1; ევერტონი — უნივერსიდად კონსეპსიონი 2:1

# სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი. ჩემპიონატი**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 589 | კოლჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |

**ინგლისი. I ლიგა**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 8 | ლეიტონი-ბრაიტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 71 | აინტრახტი-შტუტგარტი | 3.40 | 3.20 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |

17 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 72 | ალემანია-ბაიერნი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 18:30 | 74 | დორტმუნდი-გლადბახი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| 18:30 | 75 | ჰერტა-მაინცი | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| 18:30 | 76 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:30 | 77 | ვერდერი-ჰამბურგი | 1.60 | 3.40 | 5.75 | 1.08 | 1.25 | 2.13 |
| 18:30 | 79 | ვოლფსბურგი-შალკე | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |

18 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 81 | არმინია-ბოხუმი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 20:00 | 82 | ნიურნბერგი-კოტბუსი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 183 | ლილი-ლიონი | 2.85 | 2.90 | 2.60 | 1.43 | 1.35 | 1.37 |

17 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 184 | ლორიანი-ტულუზი | 2.05 | 3.00 | 3.75 | 1.21 | 1.32 | 1.66 |
| 23:00 | 188 | ნანსი-პსჟ | 2.00 | 3.00 | 4.10 | 1.20 | 1.34 | 1.73 |
| 23:00 | 190 | სედანი-ოსერი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:00 | 191 | სოშო-ლე მანი | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 20:10 | 192 | სტ.ეტიენი-რენი | 1.90 | 3.00 | 4.60 | 1.16 | 1.34 | 1.81 |
| 23:00 | 193 | ტრუა-ბორდო | 2.80 | 2.90 | 2.60 | 1.42 | 1.34 | 1.37 |
| 23:00 | 194 | ვალენსიენი-ნიცა | 2.30 | 2.90 | 3.30 | 1.28 | 1.35 | 1.54 |

18 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 185 | მარსელი-ნანტი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 21:00 | 186 | მონაკო-ლანსი | 2.65 | 2.90 | 2.80 | 1.38 | 1.36 | 1.42 |

**უეფას თასი**

14 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 328 | ბორდო-ოსასუნა | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 21:00 | 329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| 21:00 | 330 | შახტარი-ნანსი | 1.85 | 3.10 | 4.20 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 21:15 | 331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 2.10 | 3.10 | 3.45 | 1.25 | 1.30 | 1.63 |
| 22:00 | 332 | ფენერბაჩე-ალკმაარი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:05 | 334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 23:30 | 335 | ვერდერი-აიაქსი | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 23:45 | 336 | აეკ-პსჟ | 2.15 | 3.00 | 3.50 | 1.25 | 1.33 | 1.61 |
| 23:45 | 337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 23:45 | 338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 333 | სტიაუა-სევილია | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| 20:00 | 339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 23:00 | 340 | ბრაგა-პარმა | 2.00 | 3.10 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| 23:45 | 342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 23:45 | 343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |

**ინგლისი. FA Cup**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 358 | მიდლსბრო-ბრისტოლი | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 23:45 | 359 | ნორვიჩი-ბლეკპული | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |

14 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 360 | ბოლტონი-არსენალი | 3.00 | 3.20 | 2.35 | 1.54 | 1.31 | 1.35 |

**ჰოკეი. შვედეთი**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 448 | მორა-აიკ | 1.85 | 4.20 | 2.50 | 1.28 | 1.06 | 1.56 |
| 22:00 | 449 | ჰვ 71-ლინჩიოპინგი | 1.65 | 4.20 | 3.30 | 1.18 | 1.10 | 1.84 |
| 22:00 | 450 | ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 2.20 | 4.20 | 2.25 | 1.44 | 1.11 | 1.46 |
| 22:00 | 451 | ბრიუნესი-იურგორდენი | 1.70 | 4.30 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.76 |

**ჰოკეი. ფინეთი**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 469 | ჰელსინკი-ჰაამეენლინა | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| 20:30 | 470 | იოკერიტი-იუვესკიულე | 1.32 | 4.70 | 5.00 | 1.03 | 1.04 | 2.42 |
| 20:30 | 471 | ესპოო-პელიკანსი | 1.60 | 4.20 | 3.40 | 1.15 | 1.08 | 1.87 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 506 | ზვოლენი-მიკულაში | 1.35 | 4.50 | 5.00 | 1.03 | 1.06 | 2.36 |
| 20:00 | 507 | სკალიცა-პოპრადი | 2.00 | 4.20 | 2.55 | 1.35 | 1.12 | 1.58 |
| 20:00 | 508 | მარტინი-ტრენჩინი | 2.20 | 4.10 | 2.25 | 1.43 | 1.11 | 1.45 |
| 20:30 | 509 | ნიტრა-სლოვანი | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 20:30 | 510 | კოშიცე-ჟილინა | 1.15 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |

**ჰოკეი. გერმანია**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 521 | მანჰაიმი-კიოლნი | 1.80 | 4.20 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| 22:30 | 522 | დუისბურგი-ჰამბურგი | 3.30 | 4.20 | 1.65 | 1.84 | 1.10 | 1.18 |
| 22:30 | 523 | სტრაუბინგი-აუგსბურგი | 1.85 | 4.20 | 2.65 | 1.28 | 1.08 | 1.62 |
| 22:30 | 524 | კრეფელდი-ფრანკფურტი | 2.10 | 4.20 | 2.35 | 1.39 | 1.10 | 1.50 |
| 22:30 | 525 | იზერლონი-დიუსელდორფი | 2.50 | 4.10 | 2.00 | 1.55 | 1.11 | 1.34 |
| 22:30 | 526 | ინგოლშტადი-ჰანოვერი | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| 22:30 | 527 | აისბარენი-ნიურნბერგი | 2.10 | 4.20 | 2.40 | 1.39 | 1.12 | 1.52 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

13 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 542 | ციურიხი-რაპერსვილი | 2.00 | 4.20 | 2.60 | 1.35 | 1.13 | 1.60 |
| 22:45 | 543 | დავოსი-ცუგი | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 22:45 | 544 | ლუგანო-ბერნი | 2.00 | 4.20 | 2.35 | 1.35 | 1.08 | 1.50 |
| 22:45 | 545 | ბაზელი-ამბრი | 2.25 | 4.10 | 2.30 | 1.45 | 1.13 | 1.47 |
| 22:45 | 546 | ფრიბურგი-კლოტენი | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| 22:45 | 547 | ლანგნაუ-სერვეტი | 2.30 | 4.20 | 2.20 | 1.48 | 1.12 | 1.44 |

**ჰოკეი. რუსეთი**

14 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 560 | ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 3.20 | 4.50 | 1.50 | 1.87 | 1.02 | 1.12 |
| 16:30 | 561 | სიბირი-ხიმიკი | 1.85 | 4.20 | 2.50 | 1.28 | 1.06 | 1.56 |
| 20:00 | 562 | ცსკა-ავანგარდი | 2.20 | 4.20 | 2.00 | 1.44 | 1.04 | 1.35 |
| 18:30 | 563 | ლადა-ტრაქტორი | 1.35 | 4.60 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 2.13 |
| 19:30 | 564 | სევერსტალი-ამური | 1.20 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| 18:00 | 565 | სიულაევი-მაგნიტოგორსკი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 19:30 | 566 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1.25 | 4.80 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.44 |
| 20:00 | 567 | მვდ-კრილია | 1.25 | 4.60 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.39 |
| 20:00 | 568 | ასკ-ვიტიაზი | 1.45 | 4.80 | 3.50 | 1.11 | 1.02 | 2.02 |

**ჩოგბურთი. კაცები. მარსელი**

13 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 661 | ანჩიჩი-სეპი | 1.11 | 5.00 |
| 14:00 | 662 | ბაგდატისი-ტიპსარევიჩი | 1.13 | 4.50 |
| 14:00 | 663 | ბიორკმანი-ბრაჩიალი | 1.60 | 2.00 |
| 14:00 | 664 | გასკე-გერნიხი | 1.11 | 5.00 |
| 14:00 | 665 | გროსჟანი-ი ნიემინენი | 1.60 | 2.00 |
| 14:00 | 666 | დავიდენკო-სოდერლინგი | 1.40 | 2.40 |
| 14:00 | 667 | მონფილსი-გიკველი | 1.55 | 2.10 |
| 14:00 | 668 | სანტორო-ვერდასკო | 1.65 | 2.00 |
| 14:00 | 669 | ხიუიტი-ლოდრა | 1.25 | 3.00 |

**ჩოგბურთი. კაცები. სან ხოსე**

13 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22:00 | 670 | ჯ ბლეიკი-კუნიცინი | 1.04 | 6.00 |
| 22:00 | 674 | ფ ლოპესი-შუტლერი | 1.35 | 2.50 |
| 22:00 | 675 | ე მიურეი-კ კიმი | 1.04 | 6.00 |
| 22:00 | 676 | სპეიდი-უდომჩოუკი | 1.45 | 2.30 |
| 22:00 | 677 | ფიში-გაბაშვილი | 1.15 | 4.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10328 | ბორდო-ოხასუნა | 2.55 | 2.00 | 3.90 | 1.12 | 1.54 | 1.32 |
| 10329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.85 | 2.20 | 7.00 | 1.00 | 1.46 | 1.67 |
| 10330 | შახტარი-ნანსი | 2.25 | 2.00 | 4.65 | 1.05 | 1.51 | 1.39 |
| 10331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 2.60 | 2.00 | 3.90 | 1.13 | 1.55 | 1.32 |
| 10332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.75 | 2.00 | 3.40 | 1.15 | 1.52 | 1.25 |
| 10333 | სტიაუა-სევილია | 3.40 | 2.00 | 2.85 | 1.25 | 1.55 | 1.17 |
| 10334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10335 | ვერდერი-აიაქსი | 2.15 | 2.00 | 5.50 | 1.03 | 1.54 | 1.46 |
| 10336 | აეკ-პსჟ | 2.65 | 2.00 | 4.00 | 1.13 | 1.59 | 1.33 |
| 10337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.85 | 2.00 | 3.65 | 1.17 | 1.60 | 1.29 |
| 10338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.85 | 2.30 | 6.00 | 1.02 | 1.41 | 1.66 |
| 10339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.60 | 2.00 | 3.90 | 1.13 | 1.55 | 1.32 |
| 10340 | ბრაგა-პარმა | 2.50 | 2.00 | 3.95 | 1.11 | 1.53 | 1.32 |
| 10342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 2.30 | 2.00 | 4.80 | 1.06 | 1.55 | 1.41 |
| 10343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.35 | 2.00 | 2.35 | 1.37 | 1.52 | 1.08 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11328 | ბორდო-ოხასუნა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11330 | შახტარი-ნანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11333 | სტიაუა-სევილია | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11335 | ვერდერი-აიაქსი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11336 | აეკ-პსჟ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11337 | ლივორნო-ესპანიოლი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11339 | სპარტაკი მ-სელტა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11340 | ბრაგა-პარმა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 2.85 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12328 | ბორდო-ოხასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.70 | 1.90 |
| 12330 | შახტარი-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.00 | 1.60 |
| 12333 | სტიაუა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.65 | 1.95 |
| 12335 | ვერდერი-აიაქსი | 2.10 | 1.55 |
| 12336 | აეკ-პსჟ | 1.55 | 2.10 |
| 12337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.55 | 2.10 |
| 12338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 12339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.60 | 2.00 |
| 12340 | ბრაგა-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 1.90 | 1.70 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13328 | ბორდო-ოხასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.95 | 1.60 |
| 13330 | შახტარი-ნანსი | 1.70 | 1.90 |
| 13331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.70 | 1.90 |
| 13333 | სტიაუა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13335 | ვერდერი-აიაქსი | 1.90 | 1.70 |
| 13336 | აეკ-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.90 | 1.60 |
| 13339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13340 | ბრაგა-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14328 | ბორდო-ოხასუნა | 1.75 | 2.10 |
| 14329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.18 | 2.60 |
| 14330 | შახტარი-ნანსი | 1.60 | 2.30 |
| 14331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.80 | 2.00 |
| 14333 | სტიაუა-სევილია | 2.00 | 1.80 |
| 14334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.90 | 1.90 |
| 14335 | ვერდერი-აიაქსი | 1.30 | 2.50 |
| 14336 | აეკ-პსჟ | 1.75 | 2.10 |
| 14337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 14338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.20 | 2.60 |
| 14339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.75 | 2.10 |
| 14340 | ბრაგა-პარმა | 1.70 | 2.20 |
| 14342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.30 |
| 14343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 2.20 | 1.70 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15328 | ბორდო-ოხასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | შახტარი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15333 | სტიაუა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15335 | ვერდერი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | აეკ-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15337 | ლივორნო-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | სპარტაკი მ-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | ბრაგა-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16328 | ბორდო-ოხასუნა | 1.45 | 2.35 |
| 16329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.12 | 4.60 |
| 16330 | შახტარი-ნანსი | 1.37 | 2.65 |
| 16331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.45 | 2.35 |
| 16332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.60 | 2.00 |
| 16333 | სტიაუა-სევილია | 1.95 | 1.65 |
| 16334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.80 | 1.80 |
| 16335 | ვერდერი-აიაქსი | 1.25 | 3.30 |
| 16336 | აეკ-პსჟ | 1.45 | 2.35 |
| 16337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 16338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.12 | 4.60 |
| 16339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.45 | 2.35 |
| 16340 | ბრაგა-პარმა | 1.45 | 2.35 |
| 16342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.33 | 2.85 |
| 16343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 2.60 | 1.36 |

## გოლი:წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17328 | ბორდო-ოხასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.85 | 1.95 |
| 17330 | შახტარი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17333 | სტიაუა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17335 | ვერდერი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17336 | აეკ-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17337 | ლივორნო-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.85 | 1.95 |
| 17339 | სპარტაკი მ-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17340 | ბრაგა-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18328 | ბორდო-ოხასუნა | 1.80 | 1.80 |
| 18329 | ცსკა-მაკაბი ჰაიფა | 1.25 | 3.50 |
| 18330 | შახტარი-ნანსი | 1.60 | 2.10 |
| 18331 | ლევერკუზენი-ბლექბერნი | 1.75 | 1.90 |
| 18332 | ფენერბაჰჩე-ალკმაარი | 2.20 | 1.50 |
| 18333 | სტიაუა-სევილია | 4.80 | 1.15 |
| 18334 | აპოელი თ ა-რეინჯერსი | 2.45 | 1.45 |
| 18335 | ვერდერი-აიაქსი | 1.35 | 2.70 |
| 18336 | აეკ-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 18337 | ლივორნო-ესპანიოლი | 2.15 | 1.60 |
| 18338 | ბენფიკა-დინამო(ბქ) | 1.25 | 3.35 |
| 18339 | სპარტაკი მ-სელტა | 2.25 | 1.60 |
| 18340 | ბრაგა-პარმა | 2.00 | 1.65 |
| 18342 | ლანსი-პანათინაიკოსი | 1.80 | 1.80 |
| 18343 | ზ ვარეგემი-ნიუკასლი | 4.70 | 1.15 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ქართული ლეგიონი

## მარკოიშვილს თასი ხელიდან გაუსხლტა

გასული კვირა ევროპაში სათასო იყო — ყველა წამყვან ქვეყანაში საუკეთესო რვეულმა მოკლე და საინტერესო ტურნირი ჩაითამაშა. მონაწილეთა შერჩევის პრინციპი ასეთი იყო: ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მიხედვით 8 საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალში დაწყვილდა და 3 დღის შემდეგ უკვე თასის მფლობელებიც გამოვლინდნენ. არაერთმა ჩვენიანმა ითამაშა სათასო ტურნირში, მაგრამ ერთმაც ვერ მოიგო ტიტული.

ყველაზე ახლოს თასის მოგებასთან მანუჩარ მარკოიშვილი იყო, ვისი „ოლიმპიაც" ფინალში „ჰელიოსთან" დამარცხდა. ფინალის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჩვენიანი გახდა — მანუმ 21 ქულა მოიხვეჭა, მაგრამ ლიუბლიანელები წაგებას მაინც ვერ აცილა. მარკოიშვილი გამორჩეული იყო ფინალამდელ მატჩებშიც, სადაც ოლიმპიელებმა იოლად დაამარცხეს სლოვენიური კალათბურთის მოკრძალებული გუნდები.

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიორგი ცინცაძე | როკი | ესტონეთის ჩემპიონატი | პირიტა | ს | 96:76 | 10 | 0 | 3 | 0 |
| | | | დალკია | შ | 83:69 | არ უთამაშია | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის თასი | ნოვა გორიცა | შ | 93:78 | 35 | 13 | 3 | 2 |
| | | | ალპოსი | შ | 85:60 | 23 | 10 | 1 | 4 |
| | | | ჰელიოსი | შ | 70:77 | 35 | 21 | 3 | 2 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | იტალიის თასი | ნაპოლი | ნ | 86:69 | 7 | 0 | 2 | 0 |
| | | | ბენეტონი | ნ | 75:76 | 14 | 0 | 1 | 0 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის თასი | რუანი | ნ | 85:98 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის თასი | ტაუ | ნ | 73:82 | 7 | 5 | 2 | 0 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ასკ-რიგა იუნ. | ლატვიის უმაღლესი ლიგა | ფალკო | ს | 71:52 | 24 | 2 | 4 | 1 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის უმაღლესი ლიგა | | პრიენუ | ს | 91:82 | 11 | 6 | 20 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ლიტვის I ლიგა | სუდუვა | შ | 79:65 | 19 | 12 | 5 | 0 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | იტალიის თასი | სიენა | ნ | 69:86 | 24 | 8 | 2 | 3 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპ. | ლეიკერსი | შ | 83:90 | 26 | 14 | 7 | 1 |
| | | | ნიუ ჯერსი | შ | 85:87 | 29 | 10 | 6 | 0 |
| | | | ფინიქსი | ს | 120:111 | 27 | 10 | 11 | 1 |
| | | | ნიუ ჯერსი | ს | 101:99 | 28 | 10 | 6 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

პირველივე წრეში მოეცარა ხელი ნიკა ცქიტიშვილის „სან ფერნანდოს", რომელიც მეოთხედფინალში ბასკურ „ტაუსთან" დამარცხდა. ქართველმა ფორვარდმა 7 წუთი ითამაშა და საკმაოდ ბარაქიანადაც. ცქიტიშვილმა 5 ქულა მოინაგრა, თანაც ისე, რომ 4 ბურთის აცდენაც მოასწრო.

საფრანგეთში „დიჟონი" მეოთხედფინალში გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას, თუმც ვახტანგ ნაცვლიშვილი განაცხადში არ ყოფილა. ვატო ცოტა შეუძლოდ იყო და ამიტომაც ვერ დაეხმარა თავისიანებს.

ცუდი დროება უდგას ვლადიმერ ბოისას, რომელსაც ქულა რომ ქულაა, ისიც სანატრელი გახდა. „სიენამ" იტალიის თასის მეოთხედფინალში ტაირონ ელისის „ნაპოლის" სძლია, ხოლო ნახევარფინალში თასის მომავალ მფლობელ ტრევიზოს „ბენეტონს" ქულით დაეჩაგვრინა.

ბოისამ პირველ მატჩში 7 წუთი ითამაშა, მეორეში — 14, თუმც მოედანი ორჯერვე უქულოდ დატოვა. რაც შეეხება ჩვენი ნაკრების ნატურალიზებულ ელისს, მან „სიენას" 8 ქულა ჩაუგდო 24 წუთში, თუმც „ნაპოლის" ამით არაფერი ეშველა.

მძლავრად ითამაშა ლიტვურ „ნეპტუნასში" ახლახან გადასულმა სერგო ათუაშვილმა. 223-სანტიმეტრიანმა ქართველმა ცენტრმა ლიტვის უმაღლესი ლიგის მორიგ ტურში „სუდუვას" 19 წუთში 12 ქულა ჩაუგდო, „ნეპტუნასმა" კი იოლად იმარჯვა.

ზაზა ფაჩულიამ ორმაგი დუბლის გემო გაიხსენა. გასული კვირის ბოლო მატჩში მან „ფინიქსს" 10 ქულა ჩაუგდო, 11 ბურთი მოუხსნა და „ატლანტას" გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

საინტერესოა, რომ გასული კვირის ოთხივე მატჩში ზაზამ ათქულიან ზღვარს უწია, თუმც ხუთეულში ადგილი ჯერაც ვერ დაიბრუნა.

**ირაკლი პერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ქორები დასავლეთში ნადირობენ



ზაზა ფაჩულიამ „მეომართა" დაცვა გაჭრა

**გოლდენ სტეიტი 105:106 ატლანტა**

გოლდენ სტეიტი: ელისი (21), ჯექსონი (15), აზუბუიკე (16), ჰარინგტონი (6), ბიედრინსი (16 ქულა, 16 მოხსნა). ბარნსი (17 ქულა, 12 მოხსნა), იასიკევიჩუსი (14), ფოილი, პაუელი

ატლანტა: აივი, ჯონსონი (21 ქულა, 11 პასი), მ. უილიამსი (9), სმიტი (29 ქულა, 10 მოხსნა), რაიტი (8); ჩილდრესი (13), კლაქსტონი (12 ქულა, 10 პასი), ფაჩულია (24 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა), შ. უილიამსი (5), სტუდემაიერი, რიჩარდსონი

11 თებერვალი

**ფინიქსი 109:116 ჩიკაგო**

ფინიქსი: სტუდემაიერი (26 ქულა, 10 მოხსნა), ბარბოსა (26), მერიონი (11 ქულა, 18 მოხსნა)

ჩიკაგო: დენგი (29 ქულა, 12 მოხსნა), ჰაინრიხი (29), გორდონი (27)

**მინესოტა 109:107 ბოსტონი**

მინესოტა: დევისი (28), გარნეტი (26 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი), ბლუნტი (20)

ბოსტონი: პირსი (29), გომესი (17)

**მაიამი 100:85 სან ანტონიო**

მაიამი: ვეიდი (26), ონილი (16)

სან ანტონიო: ჯინობილი (26), პარკერი (20), დანკანი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**კლივლენდი 99:90 ლეიკერსი**

კლივლენდი: პავლოვიჩი (21), ჯეიმსი (18), ილგაუსკასი (17)

ლეიკერსი: ბრაიანტი (36)

**ინდიანა 94:80 კლიპერსი**

ინდიანა: ონილი (21), დანლივი (20), დანიელსი (14), ტინსლი (10 ქულა, 15 პასი)

კლიპერსი: მობლი (23), ბრენდი (14 ქულა, 11 მოხსნა), კასელი (14)

**ვაშინგტონი 73:94 პორტლენდი**

ვაშინგტონი: სტივენსონი (12)

პორტლენდი: ოლდრიჯი (18), ჯეკი (18)

**ფილადელფია 89:106 დალასი**

ფილადელფია: იგუდალა (21)

დალასი: ნოვიცკი (24 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (16 ქულა, 11 პასი), ჰოვარდი (15)

**საკრამენტო 103:114 სიეტლი**

საკრამენტო: მარტინი (24), არტესტი (21 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (20)

სიეტლი: ალენი (25), უილკოქსი (25), ლუისი (23 ქულა, 10 მოხსნა)

„ატლანტა ჰოქსი" განაგრძნობს დასავლური სანაპირო დარბაზების აფორიაქებას. წყნარი ოკეანისპირეთში ტურნეზე მყოფმა ზაზა ფაჩულიას გუნდმა „ფინიქსს" 24 საათში დონ ნელსონის „გოლდენ სტეიტი" მიაყოლა და სტუმრად ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა. ასეთი რამ „ქორებს" შორეული 1993 წლის შემდეგ ვერ მოეხერხებინათ და მის ქომაგებს ძალიანაც სურთ, პროგრესზე ჩამოაგდონ სიტყვა, მაგრამ შიშობენ, რომ ეს ამ გუნდის კიდევ ერთ ხანმოკლე აფეთქებაა და მეტი არაფერი.

„ატლანტა" ალბათ მაინც ვერ შეძლებს პლეი ოფისთვის დავაში ჩარევას, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულ ჩემპიონატში კიდევ 32 თამაში აქვს დარჩენილი. ჯორჯიელები აღმოსავლეთში მხოლოდ მე-11 ადგილზე არიან და მერვეადგილოსან „მაიამის" 5 მოგებით ჩამოუვარდებიან.

„გოლდენ სტეიტთან" „ატლანტას" თავიდანვე კარგად წაუვიდა საქმე. ჯოშ სმიტმა თავისი 29 ქულიდან 11 საწყის მეოთხედში მოინაგრა და თავისიანები 34:26 დააწინაურა. მერე მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში მისდევდნენ მომხვდურებს და ბოლო მეოთხედში წამოეწვნენ კიდეც. ატლანტელებმა შეხვედრის უკანასკნელ წუთზე 6 საჯარიმო ტყორცნიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს და მეტოქეს მატჩის გადარჩენის შანსი მისცეს, მაგრამ ყოფილმა ატლანტელმა სტივ ჯექსონმა ბოლო წამებზე საშუალო მანძილიდან ვერ ჩააგდო.

„ატლანტასთან" მარცხის შემდეგ ზედიზედ მეორე თამაში ჩააფლავა სტივ ნეშის „ფინიქსმა", ოღონდ კვლავ უსტივნეშოდ. ამ გუნდის თავისი ლიდერი აგერ მესამე თამაშია, აკლია და შედეგიც სახეზეა — „ფინიქსმა" ამ სეზონში პირველად წააგო 10-ზე მეტქულიანი სხვაობით. ნეში ალბათ მომდევნო შეხვედრასაც გამოტოვებს, 18 თებერვლის ოლ სტარისთვის კი საკარაუდოდ ფორმაში იქნება.

„ფინიქსს" რა უჭირს, ერთი-ორს წააგებს, მერე კი არიზონელები მკლავებს დაიკაპიწებენ და... საკითხავი ისაა, ამ საწყალ „ბოსტონს" რა ეშველება, რომელსაც ლიდერი პოლ პირსი კი გამოუჯანმრთელდა, მაგრამ „მინესოტასთან" მაინც წააგო და ზედიზედ მე-18 მარცხით დაიხურგა. „მინესოტას" ლიდერმა კევინ გარნეტმა კი კარიერაში მე-18 სამმაგი დუბლი შეასრულა.

**კოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | |
| ტორონტო | 27 | 24 | 52,9 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 27 | 48,1 |
| ნიუ იორკი | 22 | 29 | 43,1 |
| ფილადელფია | 17 | 35 | 32,7 |
| ბოსტონი | 12 | 38 | 24,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 31 | 18 | 63,3 |
| კლივლენდი | 30 | 21 | 58,8 |
| ჩიკაგო | 29 | 23 | 55,8 |
| ინდიანა | 27 | 24 | 52,9 |
| მილუოკი | 19 | 32 | 37,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 28 | 21 | 57,1 |
| ორლანდო | 26 | 26 | 50,0 |
| მაიამი | 25 | 26 | 49,0 |
| ატლანტა | 20 | 30 | 40,0 |
| შარლოტი | 18 | 33 | 35,3 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 42 | 9 | 82,4 |
| სან ანტონიო | 33 | 18 | 64,7 |
| ჰიუსტონი | 32 | 18 | 64,0 |
| ნიუ ორლეანი | 24 | 27 | 47,1 |
| მემფისი | 13 | 39 | 25,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 33 | 17 | 66,0 |
| დენვერი | 25 | 24 | 51,0 |
| მინესოტა | 24 | 27 | 47,1 |
| პორტლენდი | 22 | 30 | 42,3 |
| სიეტლი | 19 | 32 | 37,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 39 | 12 | 76,5 |
| ლეიკერსი | 30 | 22 | 57,7 |
| კლიპერსი | 25 | 26 | 49,0 |
| გოლდენ სტეიტი | 24 | 28 | 46,2 |
| საკრამენტო | 22 | 27 | 44,9 |



იგორ ანდრეევმა რუსები მეოთხედფინალში გაათრია

AFP

# დევისის თასი 2007

## მსოფლიოს ჯგუფი. პირველი წრე

# რუსეთი ჩილეს ანდრეევით მოერია

**რაც არ უნდა** პარადოქსულად ჟღერდეს, დევისის თასის პირველი წრის უმთავრესი მოულოდნელობა მოქმედი ჩემპიონის, რუსეთის შემდეგ ეტაპზე გასვლა გახლავთ. რატომ? ჯერ ერთი იმიტომ, რომ სლავებს ჩილეში უწევდათ თამაში, სადაც მათ ათენის ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლას მასუ და მესამეადგილოსანი ფერნანდო გონსალესი დაუხვდებოდნენ. თანაც ჩილელებმა თავისთავად გასაგებია და, გრუნტზე თამაში არჩიეს და უკვე ტრადიციულად, სტუმრები რაც შეიძლება მაღლა, ანდებში, კერძოდ, ლა სერენაში დაპატიჟეს. მართალია, აქ მთლად ბოლივიასავით ძნელი არ არის თამაში, მაგრამ რუსულ სტეპებზე გაზრდილი ხალხისთვის ნებისმიერ შემთხვევაში იოლი ნაღდად არ უნდა ყოფილიყო ამ სიმაღლეზე ჩოგნის ქნევა. მეორეც, მომხვდურებს ძალიან სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდათ, რადგანაც სამხეთ ამერიკაში ჩასვლა ვერ მოახერხეს ნიკოლაი დავიდენკომ, მიხაილ იუჟნიმა და დმიტრი ტურსუნოვმა. მართალია, მარატ საფინი თამაშობდა, მაგრამ დანარჩენებიდან ყველაზე ძლიერი ტრავმებს შემდეგ ორიოდ კვირის წინ კორტზე მობრუნებელი იგორ ანდრეევი გახლდათ.

როგორც აღმოჩნდა, ამ შეხვედრის გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ ანდრეევი გამოდგა, რომელმაც ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და ერთეულთა თანრიგის ორივე შეხვედრა მოიგო — პარასკევს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი გონსალესი დასცა, კვირას კი გადამწყვეტ შეხვედრაში მასუსაც მოუგო და თავისი ნაკრები მეოთხედფინალში გაათრია.

ანდრეევის ეს წარმატება მით უფრო გასაკვირი იმიტომ არის, რომ შაბათს რუსთა კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და წყვილთა მატჩში საფინი-ანდრეევი დააყენა, რითაც თავის ლიდერებს დასვენების შანსი მოუსპო. ჰოდა, როცა გონსალეს-მასუს წყვილმა რუსები დაამარცხა და ჩამორჩენა 2:1-მდე შეამცირა, ბევრმა სტუმრების იმედებს თითქმის ხაზი გადაუსვა. ასეთი შეხედულება კიდევ უფრო მაშინ განმტკიცდა, გონსალესმა საფინს სამ სეტში ძალიან ადვილად რომ მოუგო და ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ ანდრეევმა სწორედ მაშინ მოუგო მასუს და რუსები გააგრძელებენ ტიტულის დაცვას.

მოულოდნელობა იყო ბელგიელთა მიერ ავსტრალიელთა წაქცევაც. მასპინძლებმა თიხნარი კი გაუშალეს ოზებს და ამით საკმაო უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ მეორეს მხრივ მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები ოპტიმალური შემადგენლობით ეწვივნენ ევროპას, რაც მათ კარგა ხანია, ვერ მოეხერხებინათ.

ასეა თუ ისე, ბელგიელებმა მაინც დაამარცხეს სახელიანი მეტოქე, რაც დიდწილად დიდებულად ჩატარებული პირველი სათამაშო დღის მეშვეობით მოახერხეს, როცა მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ — ოლივიე როხუსის მიერ აყლაყუდა, მაგრამ თიხნარზე თამაშის მოძულე კრის გუჩიონეს წაქცევა არავის გაკვირვებია, თუმც კრისტოფ ვლიგენი ლეიტონის ჰიუიტის დამარცხებას თუ შეძლებდა, ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე.

ავსტრალიელებს შანსი შაბათს გაუჩნდათ, როცა პოლ ჰილი-ჰიუიტის დუეტმა შეძლო მასპინძლების დამარცხება. ყველაფერი კვირას უნდა გარკვეულიყო და ლეიტონმა აქაც იყოჩაღა, როცა სუპერდაძაბულ, ხუთსეტიან და ოთხსაათიან შეხვედრაში როხუსის დამარცხებით ანგარიში გაათანაბრა, თუმც აქ თავისი სიტყვა ისევ ვლიგენმა თქვა და გუჩიონეს სამ სეტში გადაურბინა.

შთამბეჭდავად დაამარცხეს ჩეხები წლევანდელი დევისის თასის ერთ-ერთმა ფავორიტმა ამერიკელებმა. იანკებმა ძალიან სერიოზული შემადგენლობა შეკრიბეს — ერთეულებში ენდი როდიკისა და ჯეიმს ბლეიკის იმედზე არიან, წყვილებში კი ტყუპ ძმებ ბრაიანების სახით თითქმის ყველა შეხვედრაში გარანტირებული ერთი ქულა აქვთ.

ჩეხების დამარცხებაში განსაკუთრებით როდიკმა იჩაუქა, რომელმაც ივო მინარსაც მოუგო და ტომაშ ბერდიხსაც, თან ორჯერვე ოთხ სეტში ჩაეტია. რა თქმა უნდა, ასევე მოიგეს ბრაიანებმაც და იანკები მეოთხედფინალში გავიდნენ.

კიდევ ერთ შეხვედრაში არგენტინელებმა იხეირეს და ავსტრიელები საკუთარ ტრიბუნების წინ უადვილესად წააქციეს. მასპინძლებმა კინკილა ქულა მხოლოდ წყვილებში მოიგეს — ეგ იყო და ეგ, პატაგონიელებს სხვა ველარაფერი დააკლეს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სტუმრებს არც დავიდ ნალბანდიანისა და არც ხუან-იგნაციო ჩელას დახმარება დასჭირვებიათ.

დაბოლოს, მეოთხედფინალურ წყვილებზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა.

ყველაზე საინტერესო ჯახი ამერიკაში გაიმართება, სადაც ესპანელები ჩავლენ. სტუმრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ თასისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი, თუ ახალ სამყაროში რაფაელ ნადალი ჩაჰყვებათ, ვინაიდან მასპინძლები ალბათ ბალახზე მოინდომებენ თამაშს და ამით სტუმრებს მაგრადაც გაურთულებენ ცხოვრებას.

კვლავ ვერ ასცდნენ ერთმანეთს რუსეთი და საფრანგეთი, რომლებიც დევისის თასის თითქმის ყველა გათამაშებაში ხვდებიან ერთმანეთს. ისე, წესით, რუსებს უნდა გახარებოდათ ასეთი მეტოქე, რადგან გალები უკანასკნელ წლებში სახლშიც არაერთხელ წააქციეს და გასვლაზეც.

არგენტინელებს არცთუ იოლი გასეირნება ელოდებათ სკანდინავიაში, სადაც შვედები სამხრეთამერიკელებს მედგრად დაუხვდებიან.

ყველაზე თანაბარ წყვილად ბელგიისა და გერმანიის დაპირისპირება მოჩანს. აქ მცირე უპირატესობა ბენილუქსელებს ექნებათ, ისიც იმიტომ, რომ მშობლიური ტრიბუნების წინ ითამაშებენ.

**ქახა ლომჯარიძე**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3978 |
| 2. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3436 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2830 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2577 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2554 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2359 |
| 7. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2283 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1908 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1742 |
| 10. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1626 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 1548 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1539 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1505 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1418 |
| 15. სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 16. ნა ლი (ჩინეთი) | 1150 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1139 |
| 18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 971 |
| 19. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 944 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 932 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 895 |
| 3. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 781 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 725 |
| 5. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 610 |
| 6. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 555 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 495 |
| 8. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 455 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 435 |
| 10. შაჰარ პირი (ისრაელი) | 386 |
| 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 370 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 366 |
| 13. ნა ლი (ჩინეთი) | 345 |
| 14. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 335 |
| 15. დინარა საფინა (რუსეთი) | 301 |
| 16. სამანტა სტოსური (ავსტრალია) | 240 |
| 17. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 222 |
| 18. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 215 |
| 19. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 211 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 195 |



სოფო მელიქიშვილი

**სადევისთასო** მატჩების გამო ATP-ის სარეიტინგო კალენდარში ერთკვირიანი პაუზა იყო და შესბამისად, კაცთა რეიტინგებში ცვლილებები არ მომხდარა. რაც შეხება ქალებს, WTA-მ ახალი კლასიფიკაციები გამოაქვეყნა და, რაც ჩვენთვის სასიხარულოა, რეიტინგებში მოხსენიებულმა თითქმის ყველა ქართველმა მცირე, მაგრამ პროგრესი განიცადა.

მაკა ჩახნაშვილმა 211,0 სარეიტინგო ქულით ორი პოზიციით მაღლა, 142-ზე აინაცვლა. ანა ტატიშვილი 76,75 ქულით ისევ 294-ე ადგილზეა. ჩახნაშვილის დარად ორი ნაბიჯით წინ წაიწია და 58,5 ქულით 338-ე საფეხურზე ავიდა სოფო მელიქიშვილი.

ამ სამეულის გარდა ათასეულში კიდევ ოთხი ქართველია. სალომე დევიძემ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და 25,5 ქულით 538-ე პოზიციას უწია. სოფო შაფათავა 15,25 ქულით ექვსით მაღლა, 681-ე საფეხურზე ავიდა. ეკა გორგოძემ სამი პოზიცია მოიგო და 12,0 ქულით 767-ე ადგილს უწია, ხოლო მანანა შაფაქიძე 8 საფეხურით დაწინაურდა და 8,25 ქულით 886-ეა.

მცირედით წინ წაიწიეს ათასეულის მიღმა მყოფმა ჩვენებურებმაც — თეონა ცერცვაძე (+4) 5,25 ქულით 1104-ე ადგილზეა, ხოლო მარიამ ქურდაძე (+2) 2,75 ქულით 1353-ე პოზიციაზე იმყოფება.

მომავალ ორშაბათს რომ რეიტინგები გამოქვეყნდება, მათში სოფო ქვაცაბაიაც იქნება, ვინც ამ დღეებშიც მალიორკაში თამაშობს. ბალეარულ თიხაზე ITF-ის ეგიდით 10-ათასიანი ტურნირი იმართება და სოფო წინა კვირის მსგავსად, ამჯერადაც კვალიფიკაციიდან ეცდება ძირითად ბადეში მოხვედრას.

10-ათასიანი ტურნირი ტარდება პორტუგალიურ მონტეჩოროშიც და სავარაუდოდ, ნათია გეგია აგრეთვე კვალიფიკაციაში იქნება, ისევე, როგორც გერმანული ბიბერახის ჰარდზე მიმდინარე 25-ათასიან შეჯიბრში ოქსანა კალაშნიკოვა.

აი, სოფო მელიქიშვილი კი ამერიკული სენტ პულის ჰარდზე, სადაც 50-ათასიანი ტურნირი ტარდება, კვალიფიკანტთა შორის პირველი ნომერია და, წესით, ძირითად ბადეშიც უნდა გავიდეს.

# მსოფლიოს ჩემპიონატი
## ანტხოლც-ანტერსელვა. იტალია. 3-11 თებერვალი

# გერმანია გრაისი და ნოინერია


მიხაელ გრაისი

**იტალიაში** კვირას ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ბოლო მედლები ქალთა ესტაფეტასა და კაცთა შორის მასობრივი სტარტით 15 კილომეტრიან რბოლაში გათამაშდა. ორივე ოქრო გერმანელებმა მოიპოვეს და თუ ქალებში გლაგოვის, ჰენკელის, ნოინერისა და ვილჰელმის კვარტეტის უპირატესობა აშკარა იყო, კაცთა მასსტარტში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიხაელ გრაისმა უმძაფრეს ბრძოლაში აჯობა კონკურენტებს.

ფავორიტი ოლე ეინარ ბიორნდალენი იყო და დიადი ნორვეგიელი მეოთხე საცეცხლე პოზიციამდე ლიდერობდა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ მესამე სასროლეთზე ორი სამიზნე მთელი დატოვა. ბუნებრივია და, ბიორნდალენი სიჩქარით ჯაბნიდა გრაისს და რადგანაც ამ უკანასკნელმაც ორი ტყვია ააცილა მესამე სასროლეთზე, ნორვეგიელი თითქოსდა უპრობლემოდ მიიწევდა მესამე იტალიური ოქროსკენ. ამათ უკან უშეცდომოდ მსროლელი გერმანელი ანდრეას ბორნბახერი, პირველ სასროლეთზე ერთი ტყვიის ამცდენი რაფაელ პუარე, ვეტერანი გერმანელი სვენ ფიშერი და ბიორნდალენის თანამემამულე ფროდე ანდრესენი იყვნენ.

ყველაფერი ბოლო ცეცხლის ხაზზე გადაწყდა. ბიორნდალენს ნერვებმა უმტყუნა, ორჯერ შეცდა და შესაბამისად, ორი საჯარიმო წრე „დაირტყა". ფიშერმა და ანდრესენმა თითო შეცდომა დაუშვეს. ხოლო გრაისმა, ბირნბახერმა და პუარემ ყველა სამიზნე დახურეს და ფინიშისკენ გასწიეს. ამ სამს შორის გრაისი ყველაზე სწრაფია და მას არ გასჭირვებია პირველობის შენარჩუნება. ბირნბახერი მეორე იყო, ხოლო პუარემ თავის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ბრინჯაო ირგუნა და სახლში მედლების სრული კომპლექტით დატვირთული გაემგზავრა.

ბიორნდალენი კი მხოლოდ მეოთხე იყო, თუმცა მერე რა — ოლე ეინარმა იტალიაში ორი ოქრო მოიგო, სულ მის ანგარიშზე მსოფლიოს პირველობათა რვა ოქროა და დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიდევ გამრავლდება — დიადი ნორვეგიელი ვანკუვერის 2010 წლის ოლიმპიადამდე აპირებს დიდ სპორტში დარჩენას და მანამდე კიდევ ორი მსოფლიოს ჩემპიონატია.

რაც შეეხება ქალთა ესტაფეტას, აქ გრაისის თანამემამულეებს პრობლემები არ შექმნიათ. გერმანელ დიაცთა კვარტეტმა ფაქტობრივად უშეცდომოდ ისროლა, ხოლო სათხილამურო საქმეში გლაგოვს, ჰენკელს, ნოინერსა და ვილჰელმს ბარე ორი ვერ შეედრება და შედეგიც სახეზეა — გერმანელებმა მეორე ადგილზე გასულ ფრანგებს წუთზე მეტი მოუგეს და ამასთან, მათი ახალგაზრდა ლიდერი მაგდალენა ნოინერი სამი ოქროს მედლის მფლობელი და შესაბამისად, ჩემპიონატის უპირველესი ვარსკვლავი გახდა.

**მედლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 3 | 3 | 11 |
| ნორვეგია | 3 | 2 | 2 | 7 |
| საფრანგეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| რუსეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| შვედეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| ჩეხეთი | - | 1 | 1 | 2 |
| უკრაინა | - | - | 1 | 1 |

### კაცები

**15 კმ. მასსტარტი (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 37 წთ. 52,12 (2 აცდენა) |
| 2. ანდრეას ბირნბახერი (გერმანია) | +15,4 (0) |
| 3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | +28,1 (1) |
| 4. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | +36,3 (4) |
| 5. სვენ ფიშერი (გერმანია) | +40,3 (2) |

**მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 528 ქულა |
| 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 528 |
| 3. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 455 |
| 4. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 451 |
| 5. ანდრეას ბირნბახერი (გერმანია) | 448 |

### ქალები

**ესტაფეტა. 4X6კმ. (4X2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. გერმანია (გლაგოვი, ჰენკელი, ნოინერი, ვილჰელმი) | 1სთ.14წთ.19,1წმ. (0 საჯარიმო წრე და 7 ზედმეტი ვაზნა) |
| 2. საფრანგეთი (ბეველელ-რობერი, პერეტო, ბეკარი, ბეილი) | +1.07,8 (1%7) |
| 3. ნორვეგია (ბერგერი, ფლატლანდი, მერკვე, გრუბენი) | +1.29,7 (1%6) |
| 4. სლოვენია | +1.52,7 (0%7) |
| 5. ბელარუსი | +1.58,1 (1%10) |

**მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 629 ქულა |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 609 |
| 3. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 562 |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 513 |
| 5. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | 406 |


გერმანელ ქალთა კვარტეტი: კატი ვილჰელმი, მაგდალენა ნოინერი, ანდრეა ჰენკელი და მარტინა გლაგოვი



# მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ მრავალჭიდში
## ჰერენვენი. ჰოლანდია


სვენ კრამერი და ირენ ვიურსტი

# ჰოლანდიური დუბლი

**კლასიკური** ციგურაობა კლასიკურად ჰოლანდიური სპორტის სახეობაა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი ლეგენდარულმა არდ სჰენკმა და ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

აგერ, გასულ უქმეებზე, სწორედაც რომ ჰოლანდიაში, რეკორდების სამჭედლოდ ცნობილ ჰერენვენის „ტიალფის" ჭერქვეშა ყინულზე კლასიკურ მრავალჭიდში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდა და ქალებშიც და კაცებშიც მასპინძლებმა — ირენ ვიურსტმა და სვენ კრამერმა იპირველეს.

მრავალჭიდს ვინ ჩივის, კაცთა შორის ჩემპიონატის მასპინძლებმა სულაც ოთხივე დისტანცია მოიგეს — მოკლე ამბებში, ანუ 500-სა და 1500 მეტრიან დისტანციებზე იონ ვენემარსმა აჯობა ყველას, ხოლო სტაიერული, ანუ 5 და 10-კილომეტრიანი შეჯიბრი სვენ კრამერმა მოიგო. თანაც, ამ კრამერმა 10 000 მეტრზე ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა და მრავალჭიდის ჯამშიც უკან ჩამოიტოვა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი ენრიკო ფაბრისი და ხსენებული ვენემარსი.

ვიურსტმა კრამერის მსგავსად ორი დისტანცია მოიგო, ოღონდ შუალედური — 1500 და 3000 მეტრზე ციგურაობაში აჯობა ყველას, ამას 500 მეტრზე მეორე, ხოლო 5 კილომეტრზე მესამე ადგილი დაამატა და მრავალჭიდშიც გვარიანად აჯობა მეორე-მესამე ადგილებზე გასულ გერმანელ ფრიზინგერსა და კანადელ ოლიმპიურ ჩემპიონ კლასენს.

### კაცები

**500 მ** 1. ვენემარსი (ჰოლანდია) 35,79; 2. მორისონი (კანადა) 35,81; 3. დევისი (აშშ) 35,84.

**5000 მ** 1. კრამერი (ჰოლანდია) 6.12,97; 2. ვერჰეიენი (ჰოლანდია) 6.16,16; 3. ფაბრისი (იტალია) 6.19,1.

**1500 მ** 1. ვენემარსი 1.45,19; 2. მორისონი 1.45,70; 3. ფაბრისი 1.45,97.

**10 000 მ** 1. კრამერი 12.48,88 (მსოფლიოს რეკორდი); 2. ვერჰეიენი 12.55,30; 3. ერვიკი (ნორვეგია) 13.08,92.

**მრავალჭიდის ჯამი** 1. კრამერი 147,934 ქულა; 2. ფაბრისი 149,043; 3. ვერჰეინი 149,237.

### ქალები

**500 მ** 1. ფრიზინგერი (გერმანია) 38,38; 2. ვიუსტი (ჰოლანდია) 38,44; 3. კლასენი (კანადა) 38,68.

**3000 მ** 1. ვიუსტი 4.00,28; 2. ფრიზინგერი 4.04,00; 3. კლასენი 4.05,24.

**1500 მ** 1. ვიუსტი 1.54,05; 2. ფრიზინგერი 1.55,90; 3. ნესბიტი (კანადა) 1.56,08.

**5000 მ** 1. საბლიკოვა (ჩეხეთი) 6.49,36; 2. პეხშტაინი (გერმანია) 6.59,98; 3. ვიუსტი 7.01,60.

**მრავალჭიდის ჯამი** 1. ვიუსტი 158,662; 2. ფრიზინგერი 160,515; 3. კლასენი 160,755.



# მსოფლიოს თასი
## ვილინგენი. გერმანია

**გუნდური ტრამპლინი. HS 145**

| | |
|---|---|
| 1. ავსტრია (ლოიტცლი, კოფლერი, პაული, შლირენცაუერი) | 998,4 ქულა |
| 2. ნორვეგია (ჰილდე, ბარდალი, იაკობსენი, ლიოკელსოი) | 990,5 |
| 3. გერმანია (ჰოსკე, ბოგნერი, რიტცერფელდი, ურმანი) | 931,8 |
| 4. შვეიცარია (ამანი, მოელინგერი, ლანდერტი, პუეტელი) | 880,9 |
| 5. ჩეხეთი (კოლდელკა, მატურა, ჰაიეკი, იანდა) | 836,6 |

# მსოფლიოს ჩემპიონატი
## არე. შვედეთი. 3-17 თებერვალი



AFP არქივი

# ანია შვედთა თვალია

## პერსონის კიდევ ერთი და სვინდალის პირველი

**მთის** თხილამურობის პუტკუნა დედოფალი შვედი ანია პერსონი პირველია, ვინც სპორტის ამ სახეობის ხუთივე სახეობაში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება.

ადრე სათქმელი ის იყო, მავანი სპორტსმენი მსოფლიოს თასის ეტაპებზე თუ მოახერხებდა ყველა სახეობაში გამარჯვებას. ასეთებიც ერთეულები არიან და ეს მაშინ, როდესაც ყოველ სეზონში ბარე ოთხი ათეული ეტაპი იმართება ხოლმე. ისიც სათქმელი იყო, რომ ნორვეგიელ ლასე კიუსს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხუთივე სახეობაში ჰქონდა მედალი მოგებული. ოღონდაც სხვადასხვა სინჯის და არა — ყველა ოქროსი.

ახლა კი ასეთი კაციც, უკაცრავად, ქალიც გამოჩნდა. ანია პერსონი უკვე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია და ეს შვიდი ოქრო ხუთივე სახეობაზე ნაწილდება — სწრაფდაშვება, სუპერგიგანტი, კომბინაცია (სუპერკომბინაცია), გიგანტური სლალომი და სლალომი — ანია ყველგან ჩქარია, ყველგან მაგარია და აჰა, უნიკალური რეკორდიც მისია.

არადა, მშობლიურ არეში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ანია უპირველეს ფავორიტთა შორის არ მოიხსენიებოდა — არემდე მთელი სეზონის მანძილზე ერთი ეტაპიც კი ვერ მოიგო. არადა, სეზონის წინ ყველას ეგონა, მუდმივი და ძველისძველი კონკურენტის, ხორვატი იანიცა კოსტელიჩის არყოფნაში პერსონი ყველას და ყველაფერს მოუგებს და მოიგებსო.

სეზონი სადღაც ნოემბერში დაიწყო, ახლა თებერვალია და ამ თებერვლამდე და არემდე პერსონი ყველგან და ყველასთან აგებდა, მაგრამ დადგა დრო და მომენტი და ლამაზად ჩაკურატებულმა და ხალისიანმა შვედმა გაამართლა სეზონის დაწყების წინ გაცემული ავანსები — ზედიზედ მოიგო სუპერგიგანტი, სუპერკომბინაცია, სწრაფდაშვება და წინ გიგანტური სლალომი და სლალომია, სადაც ანიამ, იქნებ, ოქრო ველარ მოიგოს, მაგრამ, იქნებ, მოიგოს კიდეც...

პერსონალური დიდება ანია პერსონს და ნუ დაგვავიწყდება აქსელ ლუნდ სვინდალიც, ვინც ზემოთ ხსენებული ლასე კიუსისა და თხილამურობიდან ახლახან წასული ჩეტილ ანდრე ომოდტის ღირსეული მემკვიდრე გახდა. აქსელ ლუნდი სეზონის დასაწყისიდან ლიდერობს მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას და აგერ, მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, თანაც სწრაფდაშვებაში, მთის თხილამურობას ხუთიდან, სლალომთან ერთად ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში.

ბოდე მილერი კი ისევ ჩავარდა. ლამის ყველაფრის მომგები ამერიკელისთვის არეს პირველობა კოშმარულად მიდის და ამჯერადაც, მხოლოდ მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდა. ჰერმან მაიერი სულაც მეცამეტე იყო. თუმცა, დიადი ავსტრიელის მატარებელმა, როგორც ჩანს, უკვე ჩქაროსნულად ჩაიქროლა...



აქსელ ლუნდ სვინდალი

AFP არქივი

### კაცები

სწრაფდაშვება

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 1წთ.44,68წმ. |
| 2. იან ჰადეცი (კანადა) | 1.45,40 |
| 3. პატრიკ იერბილი (შვედეთი) | 1.45,65 |
| 4. ერიკ გუაი (კანადა) | 1.45,67 |
| 5. ამბროზი ჰოფმანი (შვეიცარია) | 1.45,68 |

### ქალები

სწრაფდაშვება

| | |
|---|---|
| 1. ანია პერსონი (შვედეთი) | 1წ.26,89წმ. |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.27,29 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.27,37 |
| 4. ნადია შტიგერი (შვეიცარია) | 1.27,82 |
| 5. დომინიკ გიზინი (შვეიცარია) | 1.27,88 |



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

11 თებერვალი

**დალასი 7:5 კოლორადო**
*3:1 3:2 1:2*

1:0 დეილი (3), 2:0 ბარნსი (15), 3:0 ლეჰტინენი (19), 3:1 საკიკი (20), 4:1 ჰაგმანი (24), 4:2 შჩასტნი (29), 4:3 ვოლსკი (30), 5:3 ლუნდკვისტი (31), 6:3 ბუშე (34), 6:4 ჰეიდუკი (42), 6:5 მაკლინი (45), 7:5 ჰელპერნი (58)

**ნიუ ჯერსი 1:4 ტამპა**
*1:0 0:3 0:1*

1:0 გომესი (3), 1:1 პროსპალი (21), 1:2 ტარნასკი (38), 1:3 ლეკავალიე (39), 1:4 ბოილი (41)

**ედმონტონი 5:1 ატლანტა**
*1:1 3:0 1:0*

0:1 ბელანჟე (6), 1:1 სმიტი (10), 2:1 ბერჟერონი (28), 3:1 [illegible] (32), 4:1 [illegible] (33), 5:1 ტორესი (56)

**კოლუმბუსი 4:5 ჩიკაგო**
*0:3 2:1 2:1*

0:1 შარპი (9), 0:2 სმოლინსკი (11), 0:3 პავლატი (13), 1:3 ჰეინსი (24), 1:4 ლაპოინტი (25), 2:4 კარტერი (39), 2:5 ბონდრა (44), 3:5 სვიტოვი (50), 4:5 ვიბორნი (57)

**დეტროიტი 7:4 კალგარი**
*3:0 3:1 1:3*

1:0 ზეტერბერგი (9), 2:0 დაციუკი (13), 3:0 შნაიდერი (14), 4:0 ზეტერბერგი (24), 4:1 ტანგეი (24), 5:1 უილიამსი (32), 6:1 ჰოლმსტრომი (32), 6:2 ფრიზენი (54), 6:3 ჰამრლიკი (57), 6:4 ჯორდანო (58), 7:4 ფრანცენი (59)

## ლიგის ლიდერები

**ბომბარდირები:** სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 87 (25+62); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 73 (35+38); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 73 (32+41); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 72 (34+38); მარიან ჰოსა (ატლანტა) 72 (33+39); დენი ჰითლი (ოტავა) 70 (32+38); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 70 (14+56); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 69 (21+48); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 68 (24+44); მარკ სავარი (ბოსტონი) 68 (18+50); რეი უიტნი (კაროლინა) 67 (25+42); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 63 (27+36); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 63 (32+31); მარტინ სტრაკა (რეინჯერსი) 62 (26+36); როდ ბრინდამორი (კაროლინა) 62 (16+46); ჯო საკიკი (კოლორადო) 62 (24+38); პატრიკ მარლო (სან ხოსე) 62 (28+34); მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 60 (18+42).

**გოლეადორები:** ლეკავალიე 35; ოვეჩკინი 34; ჰოსა 33; ილია კოვალჩუკი (ატლანტა), სელიანე, სენ ლუი, ჰითლი 32-32; კრის დრური (ბუფალო) 30; ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), ჯასტინ უილიამსი (კაროლინა), ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 29-29.

**ასისტენტები:** კროსბი 62; ტორნტონი 56; სავარი 50; იაგრი 48; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი), ბრინდამორი 46-46; ბრიარი 44; პოლ კარია (ნეშვილი), უიტნი, ნიულანდერი 42-42; სენ ლუი 41; ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), ვიაჩესლავ კოზლოვი (ატლანტა) 40-40.

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** ლიდსტრომი 39; ტომ პრეისინგი (ოტავა) 32; ვანეკი 29; დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი) 26; ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი) 25; პაველ დაციუკი (დეტროიტი), ჰითლი, კრის პრონგერი (ანაჰაიმი) 23-23; კრის კელი (ოტავა), მარტინ ჰავლატი (ჩიკაგო) 22-22.



AFP

სიდნი კროსბი (№87) სეზონის ბომბარდირობას არ თმობს

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| ატლანტიკი | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 56 | 34 | 16 | 6 | 149:133 | 74 |
| პიტსბურგი | 55 | 29 | 17 | 9 | 190:171 | 67 |
| აილენდერსი | 56 | 26 | 22 | 8 | 164:160 | 60 |
| რეინჯერსი | 56 | 27 | 24 | 5 | 166:163 | 59 |
| ფილადელფია | 55 | 14 | 33 | 8 | 138:207 | 36 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 57 | 38 | 15 | 4 | 212:163 | 80 |
| ოტავა | 57 | 32 | 22 | 3 | 191:154 | 67 |
| მონრეალი | 57 | 29 | 22 | 6 | 165:168 | 64 |
| ტორონტო | 56 | 27 | 22 | 7 | 181:184 | 61 |
| ბოსტონი | 54 | 25 | 25 | 4 | 153:202 | 54 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 59 | 30 | 20 | 9 | 181:185 | 69 |
| ტამპა | 57 | 31 | 24 | 2 | 179:173 | 64 |
| კაროლინა | 58 | 28 | 23 | 7 | 177:184 | 63 |
| ვაშინგტონი | 57 | 23 | 26 | 8 | 173:200 | 54 |
| ფლორიდა | 57 | 21 | 25 | 11 | 164:187 | 53 |

### დასავლეთ კონფერენცია

| ცენტრალური | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეშვილი | 57 | 38 | 16 | 3 | 196:146 | 79 |
| დეტროიტი | 57 | 36 | 15 | 6 | 177:137 | 78 |
| სენტ ლუისი | 56 | 22 | 25 | 9 | 140:170 | 53 |
| ჩიკაგო | 56 | 22 | 27 | 7 | 141:170 | 51 |
| კოლუმბუსი | 56 | 22 | 29 | 5 | 139:175 | 49 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კალგარი | 56 | 29 | 19 | 8 | 174:148 | 66 |
| ვანკუვერი | 56 | 31 | 21 | 4 | 147:143 | 66 |
| მინესოტა | 57 | 31 | 22 | 4 | 162:147 | 66 |
| ედმონტონი | 56 | 28 | 24 | 4 | 156:152 | 60 |
| კოლორადო | 55 | 26 | 25 | 4 | 175:172 | 56 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ანაჰაიმი | 56 | 33 | 15 | 8 | 182:143 | 74 |
| სან ხოსე | 55 | 35 | 19 | 1 | 170:132 | 71 |
| დალასი | 56 | 34 | 20 | 2 | 152:137 | 70 |
| ფინიქსი | 56 | 25 | 29 | 2 | 151:189 | 52 |
| ლოს ანჯელესი | 58 | 19 | 30 | 9 | 163:203 | 47 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

# ვინ ნახავს ევროპას?

## მამრიკიშვილი პარიზმა დაალალატა


ბადრი ქეთილაძის ფოტო

გრიგოლ მამრიკიშვილს ევროპა ალბათ გვერდზე დარჩება

**ძიუდოისტებს გაზაფხულის მთავარ ტურნირამდე, ევროპის ჩემპიონატამდე, ორ თვეზე ნაკლები რჩებათ. საევროპე შემადგენლობებს მწვრთნელები, როგორც წესი, მსოფლიოს თასებისა და სუპერთასების შედეგებით ასახელებენ. შოთა ხაბარელის გუნდში სეზონის გამხსნელ თბილისურ ტურნირზევე გამოიკვეთნენ ევროშვიდეულის ძირითადი კანდიდატები. მიზანთან სხვებზე ახლო მდგომი თერთმეტი მათგანი ნაკრების თავკაცმა პარიზის სუპერთასზეც იახლა. წასვლამდე კი გვითხრა, რომ ბევრ კითხვას ფრანგული ჭიდაობები გასცემდა პასუხს, თუმცა ნაკრების კანდიდატები საფრანგეთში ისე სუსტად გამოვიდნენ, ხაბარელს დამატებითი საფიქრალი გაუჩნდა**

**ევროპის** ჩემპიონატამდე ორი საერთაშორისო ტურნირილა რჩება. 24-25 თებერვალს ჰამბურგის სუპერთასი გაიმართება, ხოლო 3-4 მარტს — ვარშავის მსოფლიოს თასი და, სავარაუდოდ, სწორედ პოლონეთის შემდეგ აირჩევს მწვრთნელი შვიდ საუკეთესოს.

ამ ეტაპზე ევროსაგზური განაღდებული მხოლოდ ზაზა კედელაშვილს (66 კგ) და ირაკლი ცირეკიძეს (90 კგ) აქვთ. 2006 წლის ევროპის ჩემპიონმა და საქართველოს საუკეთესო სპორტსმენმა შიდა კონკურენციაში თავისი ძალა თბილისურ მსოფლიოს თასზეც დაამტკიცა და პარიზში მხოლოდ ტურნირისშემდგომ შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა. ცირეკიძემ თბილისში ფინალი კი წააგო, მაგრამ ამ წუთისთვის საქართველოში მაინც საუკეთესოა თავის წონაში და საფრანგეთში ისიც მხოლოდ სავარჯიშოდაა ჩასული.

90 კილოგრამი წონითი კატეგორიის ხსენებისას არ იქნება, ზურაბ ზვიადაურზეც არ ვთქვათ. ოლიმპიური ჩემპიონი ჩვეულ ფორმასთან ჯერ ახლოსაც რომ ვერაა, საქართველოს ჩემპიონატზეც გამოჩნდა და თბილისის მსოფლიოს თასზეც. ზვიადაური რომ ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს, უკვე გადაწყვეტილია. ტატამს კი გაზაფხულის ბოლოს, ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებზე დაუბრუნდება.

უმსუბუქეს წონაში შვიდეულში მოხვედრის ყველაზე კარგი შანსი ნესტორ ხერგიანს და დავით ასუმბანს აქვთ. ნაკრების გამოცდილმა წევრმა მედალი ვერც თბილისში მოიპოვა და ვერც პარიზში. ასუმბანი დეკემბერში საქართველოს ჩემპიონი გახდა, მსოფლიოს თასზე ბრინჯაო მოიპოვა, თან რეპეშაჟში ხერგიანიც ჩამოიცილა. საფრანგეთში კი დავითი საჩემპიონო ბრძოლას მომავალ ჩემპიონთან, აზერბაიჯანელ ნიჰათ შიხალიზადესთან წაგებით გამოეთიშა, მერე კი რეპეშაჟშიც წააგო და ათეულს მიღმა დარჩა. უშანსოდ არც ბეთქილ შუკვანი და ამირან პაპინაშვილი არიან. ეროვპირველობამდე საერთაშორისო ტატამზე ეს ორიც გავა.

73 კილოგრამში ნაკრების უდავო კანდიდატი დავით ქევხიშვილია და ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობაც აქედანვე განაღდებული ექნებოდა, რომ არა ტრავმა. ქევხიშვილი ნაოპერაციევ მუხლს ჯერაც იმუშებს და თუ აპრილამდე ფორმაში ჩადგომა ვერ მოასწრო, 73 კილოგრამი ნაკრების ერთ-ერთი უსუსტესი წერტილი იქნება. დასტურად თბილისური მსოფლიოს თასის კვარცხლბეკიც კმარა — სამეულში ვერც ერთი ჩვენებური ვერ შევიდა. პარიზში ხაბარელმა ამ წონაში არავინ იახლა.

81 და 100 კილოგრამებში განსაკუთრებით ძნელი სათქმელია, ვინაა საგზურთან ყველაზე ახლოს. 81-ში ქართულ საერთაშორისოზე გრიგოლ მამრიკიშვილმა და გიორგი ბაინდურაშვილმა ფინალში იჭიდავეს და საფრანგეთშიც ეს ორი წავიდა. თბილისში მამრიკიშვილმა იჩემპიონა, პარიზში კი უკეთესი შედეგი ბაინდურაშვილმა აჩვენა — მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ალბათ მთავარი ბრძოლები კვლავ ამ ორს შორის გაგრძელდებოდა, მაგრამ გუშინ ნაკრების თავკაცს ტელეფონით რომ შევეხმიანეთ, გრიგოლის ტრავმის შესახებ გვაუწყა. „სამწუხაროდ, მამრიკიშვილის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა გამოირიცხა. მას მხარი ამოუვარდა“ —. გვითხრა შოთა ხაბარელმა.

მთავარი კონკურენტის ტრავმამ ცხადია ბაინდურაშვილი ნაკრების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად აქცია, თუმცა არა ერთპიროვნულად.

თბილისის ტურნირზე საბა გავაშელიშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილიც რიგიანად გამოვიდნენ და უევროშანსოდ არც ისინი არიან. შინჯიკაშვილი და გავაშელიშვილი ხაბარელმა ჰამბურგულ განაცხადში შეიყვანა.

100 კილოგრამში პარიზში ლევან ჟორჟოლიანმა და გიორგი ყიზილაშვილმა იჭიდავეს, მაგრამ მედლამდე ვერც ერთი ვერ მივიდა. ამ ორში მცირე უპირატესობა თბილისის ტურნირის ბრწყინვალედ მომგები ჟორჟოლიანის მხარესაა. ყიზილაშვილმა მაშინ ბრინჯაო მოიპოვა. იგივე შედეგი აჩვენა ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონმა ნოდარ მეტრეველმაც. ევროგუნდში დასამკვიდრებლად ამ უკანასკნელს პირველ რიგში ჰამბურგის სუპერთასზე კარგად ჭიდაობა სჭირდება.

მძიმე წონაში ამ ეტაპზე შიდა კონკურენციის სათავეში ზვიად ხანჯალიაშვილი დგას. მსოფლიოს თასის ჩემპიონმა და სუპერთასის მეშვიდეადგილოსანმა ერთი კონკურენტი, ადამ ოქრუაშვილი, უკვე თითქმის ჩამოიცილა. ლაშა გუჯეჯიანის შანსი კი მისსავე ხელშია. თუ ჰამბურგში კვარცხლბეკზე ასვლა მოახერხა, სავარაუდოდ, ვარშავაში ევროსაგზურის მოსაპოვებლად სწორედ გუჯეჯიანი და ხანჯალიაშვილი წავლენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**




AFP

# თოვლის პაპა მარკუსი

**ფინელმა** მრბოლმა მარკუს გრონჰოლმმა და მისმა თანამემამულე-თანამძღოლმა ტიმო რაუტიაინენმა უზარმაზარი უპირატესობით მოიგეს შვედეთის თოვლიანი რალი.

მარკუსი სადღეისოდ უხნესი მერალეა — ერთი კვირის წინ 39 წლის შესრულდა. ასე რომ, ამ გამარჯვებით საკუთარ თავს საუკეთესო საჩუქარი უძღვნა. ეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის მეხუთე სკანდინავიური ტრიუმფია.

თავადაც სკანდინაველი გრონჰოლმი დათოვლილ, ვიწრო გზებზე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. ამდენად, საერთო ვარაუდით, მას მოქმედ ჩემპიონ სებასტიენ ლოების ძლევა არ უნდა გასჭირვებოდა. ასეც მოხდა, თუმც მოულოდნელი შედეგით: შარშან მარკუსმა სებს 31 წამით აჯობა, ამჯერად კი სხვაობა თითქმის გაორმაგდა.(!)

სუომელთა „ფორდი“ ოციდან 11 სპეცმონაკვეთზე ყველაზე სწრაფი იყო. გრანჰოლმმა პირველი დღის მერე მხოლოდ 11 წამით ჩამოიტოვა მთავარი მეტოქე, მეორე დღის ბოლოს კი სხვაობა სოლიდური გახდა — 38 წამი. ბუნებრივია, ამის შემდეგ ლოებს უაზრო გარისკვა-გაბრძოლება აღარ უცდია და მეორე ადგილითაც სავსებით კმაყოფილი დარჩა.

ამჯერადაც ჩაფლავდა ნორვეგიელი ექსჩემპიონი პეტერ სოლბერგი, რომელიც თავიდან მშვენივრად მიდიოდა — კარგა ხანს მეორე პოზიციაზე იყო თვით ლოების წინ, მაგრამ სრიალა, ვიწრო გზაზე მცირე შეცდომა ძვირად დაუჯდა, „სუბარუ“ ტრასიდან გადაუცურდა და თოვლში გაიჭედა.

გრონჰოლმმა ათწლიან კარიერაში 26-ე დიდი პრიზი მოიგო და რეკორდსმენ ლოებს საზითდა ჩამორჩება.

მომდევნო, მესამე ეტაპი ამ კვირის ბოლოს ისევ ჩრდილოეთში, ოღონდ პეტერ და ჰენინგ სოლბერგების ტერიტორიაზე, ნორვეგიაში ჩატარდება.

**გია ახალაძე**

### მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

მეორე ეტაპი. შვედეთი. 342,2 კმ

#### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 3სთ;08.40,7 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 53,8 |
| 3 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 1.41,5 |
| 4 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, ფორდი) | 2.09,8 |
| 5 | დანიელ კარლსონი (შვედეთი, სიტროენი) | 3.37,8 |
| 6 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, მიცუბისი) | 3.54,2 |
| 7 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი) | 5.12,5 |
| 8 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 6.04,7 |

#### საერთო ჩათვლა

1. ლოები — ელენა 18 ქულა; 2. გრონჰოლმი — რაუტიანენი 16; 3. ჰირვონენი — ლეჰტინენი 10; 4. სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 8; 5. ატკინსონი — მაკნილი 6; 6. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 5; 7. გარდმაისტერი — ჰონკანენი 5; 8. კარლსონი — ჟირადე 4; 9. პეტერ სოლბერგი — მილსი 3; 10. შტოლი — მინორი 2.

#### კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 27 ქულა, ფორდი 26, სუბარუ 10, კრონოს-სიტროენი 9, სტობარტ-ფორდი 6.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ქეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge